# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 29 სექტემბერი, 2010 წელი.

№181 (6547)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## ვაითუ, ეს სიწყნარე იმგვარივე იყოს, ქარიშხლის წინ რომ იცის ხოლმე! ②

# გამოორქსენიებული მიშა ③




## ბიუჯეტში თანხების მობილიზების მორიგი ხერხი? ⑤

თუ საგადასახადო კოდექსი სრულყოფილია, რა საჭიროა ეს დოკუმენტი?

## ④ გაარჩეჩეთ, გაარჩეჩეთ!..

თუმცა ვინაა გამჩერებელი ტრა...მპისთვის „უგოდნიკური" მზერით შემციცინებელი მიშასი?

## ახალგორელ ოსებს ჩვენი ხელისუფლება კომპენსაციას არ აძლევს ②

ქართველებსა და აფხაზებს შორის ნათესაური, მეგობრული ტრადიციების აღდგენას „ზუგდიდელი" ცდილობს ⑥



## ლოკალური სკანდალი „საპატრიარქოს პურთან" დაკავშირებით ⑥

ოთარ იოსელიანს ქართული კინოს აღორძინების სჯერა ⑪



## თბილისი კონსტიტუციას სასაააკაშვილოდ ცვლის ⑧

მიშამ 2013 წელს შეიძლება პუტინის გამბიტი გაიმეოროს

◎ პუბლიკაცია მკითხველის თხოვნით

# ვაითუ, ეს სიწყნარე იმგვარივე იყოს, ქარიშხლის წინ რომ იცის ხოლმე!

**ეს ექვნარევი შიში და თხოვნა ასპინძის რაიონის სოფელ თმოგვის მცხოვრებთა წერილიდან გამოკრთის, რომელსაც ხელს ნანა ზაზაძე, ნათია ზაზაძე, ნანა მამულაშვილი, ნაირა ზაზაძე და სხვები (სულ 37 ხელმომწერი) აწერენ და რომელიც რედაქციაში გუშინ მოგვიტანეს.**

**თუმცა ვიდრე საქმეზე გადავიდოდეთ, მინდა მცირე ამონარიდი გაგაცნოთ მათ მიერვე ამ ერთი თვის წინათ საქართველოს პრეზიდენტისთვის გაგზავნილი წერილიდან:**

**„ბატონო პრეზიდენტო, არ გვინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ მოულოდნელმა მდგომარეობამ გვაიძულა ამის გაკეთება, რათა საქმის კურსში ჩაგვაყენოთ ამ მოკლე ინფორმაციით, რადგან ასეთი დიდი უსამართლობა და უკანონობა ხალხს არასოდეს განუცდია: ჩვენი სოფელი თმოგვი არის მდიდარი ისტორიული წარსულისა და ტრადიციების მქონე, რომელიც მდებარეობს ვარძიის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამჟამად სოფელში ცხოვრობს 100 ოჯახი. სოფელში სკოლის გარდა სხვა სახელმწიფო დაწესებულებები აღარ ფუნქციონირებენ. სკოლა იყო დიდი იმედი და დასაყრდენი სოფლის მოსახლეობისთვის, მაგრამ ეს იმედიც წაგვერთვა“.**

რა სიწყნარეზეა საუბარი და რატომ აშინებს იგი თმოგველებს ამ არეულ დროში?

საქმე ის არის, რომ, თმოგველთა თქმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სკოლების ოპტიმიზაციის მომიზეზებით, თმოგვის სკოლის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლასთან შეერთება მოუნდომებიათ.

მოუნდომებიათ და აუსრულებიათ კიდეც განაზრახი, ოღონდ, თმოგველთა საბედნიეროდ, ჯერჯერობით, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ ცალმხრივად, ნაწილობრივ.

ის კი არა, თმოგვის სკოლის დირექციაც გაუუქმებიათ, თითქოს თმოგველთათვის შეუთვლიათ, „წულარ გინდათ თივა, ქერიო“, მაგრამ აქაც მხოლოდ სიტყვიერად — კონკრეტული ბრძანება, ქაღალდზე დაწერილ-გაფორმებული, ჯერ არავის უნახავს.

რატომ?

იმიტომ, რომ თმოგველებმა, როგორც მოგახსენეთ, კოლექტიური წერილით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ადმინისტრაციას გადაეგზავნა. ამ უკანასკნელმა კი ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელებს დაავალა, განეხილათ ეს საკითხი და პასუხიც ეცნობებინათ.

ეს იყო 3 სექტემბერს.

როგორც რედაქციაში მოსულმა თმოგველებმა გვითხრეს, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივ კომიტეტს განუხილავს ეს საკითხი და ისიც დაუდგენია, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება „ჰაერშია“, რადგან გამგეობას ჯერჯერობით თავიც არ შეუწუხებია ამაზე მსჯელობისთვისაც კი.

თმოგველები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროშიც ყოფილან, იქაურთათვისაც აუხსნიათ საქმის ვითარება. სამინისტროს მესვეურთა გადაწყვეტილებით, ჯერჯერობით სკოლის დაცლა-გასხვისების პროცესი შეჩერებულია და მის დირექციას სკოლაში სწავლის გაგრძელების უფლება მისცეს.

**თუმცა რომელ დირექციას, რომელიც ამავე სამინისტროს გადაწყვეტილებით გაუქმებულია?**

**მაგრამ, როგორც ვთქვით, გაუქმების შესახებ ოფიციალური დოკუმენტიც რომ არ არსებობს?**

თუმცა ერთი კია საკითხავი: **მაინც რა ისეთი დოკუმენტი თუ არგუმენტი წარუდგინეს თმოგველებმა პრეზიდენტის ადმინისტრაციასა თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომ სოფლის სკოლის დაცლის გადაწყვეტილება დროებით შეჩერებულიყო?**

საქმე ის არის, რომ სოფელ ნაქალაქევის სკოლა, სადაც უპირებენ თმოგველ მოსწავლეებს გადაყვანას, **სასწავლო პროცესისთვის გამოუსადეგარია!**

რატომ?

ჯერ კიდევ 1990 წელს „საქგეოლოგიის“ სპეციალისტებმა „საქსახკომარქიტექტურის“ წარმომადგენლებთან ერთად შეისწავლეს და შეაფასეს სოფელ ნაქალაქევში არსებული სიტუაცია იქ შექმნილ საშიშ გეოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებით და დაასკვნეს, რომ იქ **„ხალხის შემდგომი ცხოვრება შეუძლებელი იყო“** (ამის საფუძველზე მაშინდელ ასპინძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს იმავე წლის 28 ნოემბერს მიუღია კიდეც გადაწყვეტილება ნაქალაქევის მოსახლეობის დამეწყრილი საცხოვრებელი შენობების ჩამოწერისა და ლიკვიდაციის, აგრეთვე მათთვის სხვა სამოსახლო მიწების შერჩევა-გამოყოფასთან დაკავშირებით!ძ.

აი, ერთი ამონარიდი ამ დასკვნიდან: **„საცხოვრებელი სახლების და სხვა ნაგებობების დეფორმაცია გამოწვეულია ლოკალურად განვითარებადი მეწყერებით, მექანიკური სუფოზიით და გრუნტების ჯდენით საძირკველში მათი განსხვავებული მზიდუნარიანობით. აღნიშნულის მკაფიო დადასტურებაა სკოლის ახლანდელი შენობის დეფორმაცია“.**

ამ დასკვნის დაწერიდან განვლილი 20 წლის განმავლობაში აღნიშნული სკოლის მდგომარეობა რომ უფრო გაუარესდებოდა, ფაქტია.

**ჰოდა, ასეთ „სკოლაში“, ანუ დასანგრევად განწირულ რაგვივით შენობაში უპირებთ ბავშვებს გადაყვანას, ბატონებო?**

თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, კი არ უპირებენ, არამედ უპირებდნენ, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ჯერჯერობით თმოგვის სკოლის მოსწავლეებისა და დირექციის „გადასახლების“ პროცესი შეჩერებულია.

კია შეჩერებული, მაგრამ პოეტისა არ იყოს, არავინ იცის, რა იქნება „დღეის ამას იქით!“

ამ გაუგებრობის გამო კი, როგორც რედაქციაში მოსულმა თმოგველებმა გვითხრეს, სოფელში უკვე დაიწყო მიგრაციის პროცესი — **ზოგიერთ მშობელს, ვისაც შვილის მომავალი აშფოთებს, ბავშვი სასწავლებლად ახალციხეში გადაჰყავს. და თუ ეს პროცესი არ შეჩერდა, სოფელი მოსახლეობისგან დაიცლებაო.**

ამიტომაც სწერდნენ თმოგველები საქართველოს პრეზიდენტს, რომ ნაქალაქევის სკოლაში მათი შვილების გადაყვანით **„შეიძლება გამოუსწორებელი შედეგების წინაშე აღმოვჩნდეთ. ნუ დაგვილუპავთ შვილებს, მომავალს, ნუ დაცლით სოფელს ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობისგან და სოფელს ნუ აქცევთ ნასოფლარად“!**

როგორც ვთქვით, ჯერჯერობით თმოგვის სკოლის დაცლა-გაუქმების პროცესი შეჩერებულია და სიწყნარეა. მაგრამ სწორედ ეს გაურკვევლობა და სიწყნარე აშინებთ ყველაზე მეტად თმოგველებს — ვაითუ, ეს სიწყნარე იმგვარივე იყოს, ქარიშხლის წინ რომ იცის ხოლმეო, და გვთხოვენ დავეხმაროთ მათ თმოგვის სკოლის — სოფლის ერთადერთი სახელმწიფო დაწესებულების გადარჩენაში.

**ჩვენ კიდევ რა შეგვიძლია იმის გარდა, რომ მათი გასაჭირ-საწუხარი იმათ ყურამდე მივიტანოთ, ვინც ჯერ არს? სწორედ ამას ვაკეთებთ ამ პუბლიკაციით და იმასაც ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ რედაქცია თმოგვის სკოლის საკითხს კონტროლზე აიყვანს.**

**იქნებ დაგვეხმაროთ სოფლის ერთადერთი სახელმწიფო დაწესებულების გადარჩენაში?**



**რუსლან რუსია**

◎ დევნილები ახალგორიდან

# ახალგორელ ოსებს ჩვენი ხელისუფლება კომპენსაციას არ აძლევს

## იმათ ცხოვრებას უამრავი წინაღობა ახლავს...

**საქართველოს ხელისუფლება ახალგორს ვერ აკონტროლებს, მაგრამ ვანო მერაბიშვილის უწყება აქტიურად ცდილობს, თვალყური მიადევნოს იქ არსებულ მდგომარეობას. როგორ? — აგენტების საშუალებით. და ვინ არიან ეს აგენტები? — რიგითი მოქალაქეები, განურჩევლად ასაკისა. „ყველა მოხუცს მობილური ტელეფონი აქვს და სულ რაღაცას ჩურჩულებენ, ასე აპირებს საქართველოს ხელისუფლება ახალგორის დაბრუნებას?“ — ამბობს ახალგორში მცხოვრები თამილა მეარაყიშვილი. ეს ქალბატონი იქ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორია. მას არც ე. წ. ოსეთის ხელისუფლება სწყალობს და არც ქართული, ვინაიდან, როგორც ეუბნებიან „გრძელი ენა“ აქვს.**

ქალბატონმა თამილამ გუშინ პარლამენტის საკონფერენციო დარბაზში ბრიფინგი გამართა. მასთან ერთად იყო ახალგორელი ეთნიკური ოსი თეიმურაზ ალოხოვი და მათ ტრიბუნამდე მისაღწევად ოპოზიციონერი პარლამენტარი გია ცაგარეიშვილი გამოიყენეს. სამწუხაროდ, ნაციონალური ტელეარხების ჟურნალისტები არ დასწრებიან ბრიფინგს.

**გია ცაგარეიშვილი:** ახალგორში მცხოვრები ადამიანები ბედის ანაბარა არიან მიტოვებულნი. ისინი ძირძველ მიწაზე ცხოვრობენ, თუმცა არ წყვეტენ კავშირს დედასამშობლოსთან. მათ იქ ცხოვრებას კი უამრავი წინაღობა ახლავს. ჩვენი მაღალჩინოსნები მოუწოდებენ, აიყარონ საცხოვრებლიდან და აქეთ გადმოიხვეწონ, არადა, პირიქით, ხელი უნდა შეუწყონ მათ იქ დამაგრებას. ამათ რომ დაუჯერონ 70 ათასმა გალელმაც უნდა დატოვოს საცხოვრებელი, მაგრამ აქ სად აპირებენ ამათ ჩასახლებას, გომურებში?!

**თამილა მეარაყიშვილი** განსაკუთრებით იმით არის შეშფოთებული, რომ ხელისუფლება ახალგორელებს ალტერნატივას სთავაზობს წეროვანში: „ახალგორში ორი ქართული სკოლა დაიხურა იმიტომ, რომ ელემენტარული პირობები არ არის. წელს არც ერთი პირველკლასელი არ შესულა ქართულ სკოლაში, აქეთ წამოვიდნენ, სამაგიეროდ, ძალიან ბევრი პირველკლასელი მიიღეს რუსულმა სკოლებმა. ნიკა რურუას დიდი თხოვნითა და ვედრებით მოვაწერინე ხელი, რათა 420 ლარი გადმოერიცხათ კალმებისა და რვეულებისათვის. ამასობაში ტელეკომპანია „კავკასიაში“ გამოვედი და იქაურ პრობლემებზე ვილაპარაკე. ამის გამო თანხა არაფრით არ ჩამირიცხეს. ხშირად გადმოვდივარ აქეთ, ქართველი მესაზღვრეები შეურაცხმყოფელად გვექცევიან, სად მიდიხართ, ღამეს სად ათევთო? ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ახალგორი მივატოვოთ. მეც მებრძვიან და მეუბნებიან, ჩვენთან ითანამშრომლეო. კომპენსაცია ჩვენ არ გვეკუთვნის, განსაკუთრებით მე, „გრძელი ენა“ გაქვსო და არ გეკუთვნისო. ყველა უწყება შევაწუხე: ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, ახალგორის მუნიციპალიტეტი, ანტიკრიზისული საბჭო, დიმიტრი სანაკოევის ადმინისტრაცია (ეს ადამიანი ხომ უნდა გამოაჩინონ?!ძ საბოლოო პასუხი იყო — მიმართეთ პროკურატურასო“.

კომპენსაციის პრობლემა აქვს **თეიმურაზ ალოხოვსაც,** რომელიც ეთნიკური ოსია, თუმცა საქართველოს მოქალაქე. ის ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უარი უთხრა, ახალგორელ ოსებს კომპენსაცია არ ეკუთვნითო. „ვის არ მივმართეთ, სამინისტროს, საკრებულოს და პასუხი ვერ მივიღეთ. სად გვეპატიჟება ოსებს პრეზიდენტი? ჩამოსულები აქ „ციგნებად“ აქციეს, ახეტიალეს და ვინც უკან დაბრუნდა, საყვედურობენ“, — ამბობს ის.

ხელისუფლებამ აგვისტოს ომის დამთავრებისთანავე თქვა, რომ ვისაც არ სურდა კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში ცხოვრება, შეეძლო კომპენსაციის აღება 10 ათასი დოლარის ოდენობით. როგორც ამბობენ, ეს პროცესი საკმაოდ გაუმჭვირვალეა და შერჩევითობის პრინციპით არჩევენ დევნილებს, მათ შორის ახალგორელებსაც.




„თუ ნაციონალების მხარდამჭერები არ არიან, ან არჩევნებში არ ეხმარებოდნენ, ან სახელისუფლებო სტრუქტურებში არ მუშაობდნენ, ასეთ ადამიანებს კომპენსაციას არ აძლევენ, — ამბობს გია ცაგარეიშვილი, — თავს იჩენს მანკიერი პროცესები და კორუფცია. ჩვენ სამინისტროს მოვთხოვთ სიებს იმ ადამიანებისა, ვინც მიიღო კომპენსაცია. გავაგრძელებთ მონიტორინგს და ყველაფერს გავაკეთებთ მე და „თავისუფალი დემოკრატები“, რათა პროცესი გამჭვირვალე გახდეს. იქნებ გაუსწოროს თვალი ხელისუფლებამ სიმართლეს, თორემ ეს ჩვენს ქვეყანას მძიმედ შემოუტრიალდება“.

ამაში გია ცაგარეიშვილი იმას გულისხმობდა, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია ახალგორელ საქართველოს მოქალაქეებს ოსური პასპორტების აღებას სთხოვს, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. პარლამენტარ შოთა მალაშხიას განცხადებით, ხელისუფლებას ისღა დარჩენია, რომ ეს გამოქცევებული ადამიანები კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩაასახლოს.

**„ხომ უნდა დავიბრუნოთ ჩვენ ოდესმე ეს ტერიტორია. თუკი იქიდან ეთნიკური ოსები და ქართველები აიყრებიან, ცარიელი მიწა-წყალი რაღად გვინდა? ჩვენი ხელისუფლება ასე ოსებსა და აფხაზებს ვერ შემოირიგებს და ის დაწერილი სტრატეგია ერთად თანაცხოვრებაზე მხოლოდ ფუჭი სიტყვებია“,** — აცხადებს ცაგარეიშვილი.

**თეა მოსია**

როცა ფეისბუქს „ფურცლავ“

# გამოორქსენიებული მიშა

*„ჩვენი ტრადიციული, საკოლექციო ნომერი მართლაც განსაკუთრებული გამოვიდა, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წყალობით, რომელმაც საკმაოდ თბილად მიიღო ქსენია სობჩაკი და ქსენია სოკოლოვა და მათთან ერთად არა მარტო დღე, ღამეც გაატარა. უფრო ზუსტად, ჯერ ღამე, ხოლო შემდეგ დღე. მას შემდეგ კი ალბათ ღამეც. გოგონების ჩვენება არეულია, ხმა აღელვებული, თვალები ეშმაკურად უციმციმებთ. რაც არ უნდა მომხდარიყო, მე მაინც მადლობას ვუხდი საქართველოს პრეზიდენტს იმ სიამოვნებისთვის, რაც მან თავისი ინტერვიუს ჟურნალ „GQ“-ს რუსულ ვერსიაში ხილვით მოგვანიჭა. აფხაზეთის ომის შემდეგ, ჩვენ პირველად მოგვეცა საშუალება მისთვის დაგვესვა კითხვები, რომლებიც გვაღელვებს. არა მხოლოდ ჰალსტუხის შესახებ, არამედ საერთოდ. ჩვენ გვაქვს თემები, რომელთა შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ, თუნდაც იმის შესახებ, რომ ოდესმე კვლავ დავლევთ თუ არა ბორჯომს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერ ჩვენგანს, ბორჯომი ურჩევნია ომს. ამისათვის კი პირველ რიგში ერთმანეთის მოსმენა უნდა ვისწავლოთ.*

*გზადაგზა გაირკვა, რომ ჩვენს კორესპონდენტებს არა მხოლოდ ომისა და მშვიდობის საკითხები აინტერესებდათ. მათთვის ასევე საინტერესო იყო ჩვენი საერთო მეგობრის თინა კანდელაკის პირადი ცხოვრება. უფრო მეტიც. როგორც ჩანს ყველა დანარჩენი მხოლოდ ნამდვილი მიზნის დასაფარად იყო განკუთვნილი. ასეთია ჩვენი საქმიანობა, როდესაც შედეგის მისაღწევად იძულებული ხდები საპასუხისმგებლო ჟურნალისტური დავალება ორ მანდილოსანს მისცე. მათ რა თქმა უნდა სერიოზული კითხვებიც დასვეს, მაგრამ მხოლოდ თვალის ასახვევად. როგორც კი პრეზიდენტი მოდუნდა, ისინი მაშინვე საზოგადოებრივი პალატის წევრისა და უბრალოდ ლამაზი ქალბატონით „მიაწვნენ“. როგორც ჩანს ბატონი სააკაშვილი პირველად დაიბნა. შემდეგ კვლავ გამოერკვა, მაგრამ მე ის ტექსტი ამოვშალე. ეს ბუნებრივია. პუტინის შესახებ — კი ბატონო, მაგრამ მანდილოსნების შესახებ — არ ღირს. ჩვენ ისინი გვიყვარს და ვაფასებთ. არა, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ პრემიერ-მინისტრი არ გვიყვარს და არ ვაფასებთ. ის 25 არხს უყვარს და ყველანი აფასებენ. თვით ქსენია სობჩაკიც, ქვეყნის საგარეო კურსის აქტიური მხარდამჭერის მიზნით, ბატონ სააკაშვილთან მაისურზე პუტინის გამოსახულებიანი მაისურით გამოცხადდა.*

*ერთი სიტყვით — გაერთეთ.*

*უნდა ითქვას, რომ ბატონ სააკაშვილსაც გაუმართლა, რომ საკოლექციო ნომერში მოხვდა. ტრადიციის მიხედვით, ჩვენ ოქტომბერში ვაჯამებთ კენჭისყრის შედეგებს „წლის ადამიანები „GQ“-ს ვერსიით“. ასე, რომ საქართველოს პრეზიდენტს ბიზნესმენების, მწერლების, პროდიუსერების, მსახიობების, ღირსეული კომპანია ერგო. იმ ხალხისა, რომლებმაც ამ წელს სიკაშკაშე შემატეს, ხოლო ჩვენს ნომერს სისქე“.*

ეს არის ჟურნალ **„GQ“**-ს რუსული ვერსიის მთავარი რედაქტორის, ბატონ ნიკოლაი უსკოვის „რედაქტორის სიტყვა“, რომელიც ოქტომბრის საკოლექციო ნომერში იხილავს დღის სინათლეს, ქსენია სობჩაკისა და ამავე ჟურნალის მთავარი რედაქტორის მოადგილის ქსენია სოკოლოვას საკმაოდ საინტერესო მასალასთან ერთად.

ამ მასალას კი ბატონი უსკოვი მართლაც საინტერესოდ აღწერს ჟურნალის ვიდეოანონსში, რომელიც შეიძლება იხილოს რუსული ენის მცოდნე ნებისმიერმა მსურველმა.

„ფილოსოფია ბუდუარში... მიხეილ სააკაშვილთან ერთად“.

„სამი დღე საქართველო სისტემიდან იყო ამოვარდნილი, რადგანაც მთელი ამ დროის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი გოგონებთან იმყოფებოდა“.

„ქსენია სოკოლოვა აპირებდა ნოემბრის ნომრისთვის მოემზადებინა მასალა საქართველოში ცხოვრების შესახებ, მაგრამ რადგანაც საქართველოს პრეზიდენტის გრაფიკი ჯერჯერობით უცნობია, ამიტომ სავარაუდოდ ეს მასალა დეკემბრის ნომერში გავა, მაგრამ მანამდე არის ოქტომბრის ნომერი. ბრწყინვალე და ძალიან სასაცილო ტექსტი იმის შესახებ, თუ როგორ მართავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს. იმის შესახებ, თუ რა მოხდა ბატონ პუტინსა და თინა კანდელაკს შორის. ჩვენ გვეყო თავხედობა და ოქტომბრის ნომერს ვუწოდეთ საკოლექციო ნომერი“.

„ამ ინტერვიუსთვის ორი წელი ვემზადებოდით. ვწერდით წერილებს, თხოვნებს, მუქარებს და საბოლოოდ ეს ინტერვიუ შედგა“.

ამ ფრაზებით აკეთებს ბატონი უსკოვი ანონსს წერილისა:

**ბომბი!**
**მიხეილ სააკაშვილმა მისცა სობჩაკ&სოკოლოვას**
**(თითქმის არა მარტო ინტერვიუ)**

იქვე არის მკითხველთა კომენტარებიც, რომლებიც, ბუნებრივია, არაერთგვაროვანია. ზოგს მიაჩნია, რომ ოქტომბრის ნომერი მართლაც კარგი იქნება, რადგანაც სააკაშვილთან ინტერვიუ, მართლაც „ბომბია“, თუნდაც იმის გამო, რომ ამ ინტერვიუს რუსეთის პირველი არხი არ აჩვენებს. ზოგი თვლის, რომ არ შეიძლება ინტერვიუს აღება იმ ადამიანისგან, რომელმაც ომი დაიწყო და უამრავი რუსი ჯარისკაცი იმსხვერპლა. ამის გამო ის ამ ჟურნალს აღარ იყიდის და **„GQ“** ერთგულ მკითხველს დაკარგავს (იდიოტი! მე ვიყიდი მის ნაცვლად! სადმე ვიშოვი ჯერ ფულს და შემდეგ ჟურნალს — **გ.გ.**ძ.

ახლა რაც შეეხება იმ ინტერვიუს, რომელიც ოქტომბერში გამოვა.

რა წერია იქ, ჯერ არავინ იცის, თავად ჟურნალის რედაქციის გარდა. არა, საქართველოში ერთ-ორ კაცს ნამდვილად ეცოდინება, მაგრამ ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

მთავარი ის არის, რომ არავინ მიაქცევდა ყურადღებას ორი მშვენიერი მანდილოსნის თბილისში ვიზიტს და მათ მიერ დაწერილ წერილს (რა, პირველია, თუ უკანასკნელი. ისე, ღმერთმა გვიმრავლოსძ, რომ არა ფეისბუკზე გამოჩენილი ვიდეო, რომელშიც ქსენია სოკოლოვა ამ ინტერვიუს შესახებ საუბრობს.

მეც დავდე ჩემს გვერდზე ეს ვიდეო.

დავდე იმიტომ, რომ ძალიან მომეწონა და მართალი გითხრათ, სულ სხვა თვალით დამანახა საქართველოს პრეზიდენტი.

ვილაცამ შეიძლება თქვას, „იყიდესო“ (მე კი არა, სოკოლოვაძ. ვილაცა იტყვის „ჩვეულებრივი პიარიაო“. შეიძლება ისეთიც აღმოჩნდეს, რომ ისიც კი თქვას, „ეს ყველაფერი მედვედევის ჩაწყობილია, პუტინის საწინააღმდეგოდო“.

ძალიან ბევრ რამეს იტყვიან და დაწერენ ამ ინტერვიუს შესახებ. ისაუბრებენ იმ ეპატაჟის, ანუ იმ ჩაცმულობის შესახებ, რომლითაც ქალბატონები შუაღამისას პრეზიდენტის სასახლეში მივიდნენ. ისაუბრებენ და დაწერენ თინა კანდელაკის, ანუ იმ ინტრიგის შესახებ, რომელზედაც ააგეს თავიანთი მასალა სობჩაკმა და სოკოლოვამ. ასევე ბევრს იტყვიან იმის შესახებაც, თუ როგორ მოეწონათ რუს გოგონებს ქართველი მამაკაცის მასპინძლობა და განახლებული საქართველო.

ცხადია, ეს ყველაფერი აბსოლუტურად განსხვავებული ფორმით იქნება წარმოდგენილი და წარდგინების ფორმა, მხოლოდ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა პოლიტიკური ორიენტაციისაა ავტორი.

ანუ, ოპოზიციური ჟურნალ-გაზეთები მხოლოდ ორ რუს „ნაშას“ დაინახავენ, სახელისუფლებო კი — მტრული ქვეყნის წარმომადგენელი ჟურნალისტებისაგან ქართული სინამდვილით აღფრთოვანებას.

მე კი პირდაპირ გეტყვით, რომ ბევრი რამ მესიამოვნა სოკოლოვას ინტერვიუში (რა თქმა უნდა ისიც მაგრად მომეწონა, როდესაც თქვა „მე მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრი ვარ სიმაღლეში, თანაც ქუსლებზე ვდგავარ და პუტინთან ინტერვიუზე ალბათ ხოხვით მომიწევდა მისვლაო“ძ, მაგრამ მთავარი იყო მისი უშუალობა და გულწრფელობა, რომლითაც ის სააკაშვილზე, როგორც ადამიანზე, რომელსაც რაღაცის გაკეთება უნდა, საუბრობდა.

ისე რაც მართალია, სააკაშვილის ინტერვიუ ამ ორ მშვენიერ ჟურნალისტთან, მართლაც კარგად იყო ორგანიზებული და უეჭველად გაგრძელდება.

ამ დასკვნის საფუძველს ის მაძლევს, რომ მიხეილ სააკაშვილმა თავის ბოლო ინტერვიუში, რომელიც მან „ალ ჯაზირას“ ტელევიზიას მისცა, საკმაოდ კარგად ისაუბრა ცნობილ რუს მილიარდელზე, პუტინის პირად პატიმარზე ბატონ ხოდორკოვსკიზე.

ბატონი ხოდორკოვსკის ერთ-ერთი დამცველი კი (როგორც ჟურნალისტიძ, ქალბატონი ქსენია სოკოლოვაა („როგორ ხდება მამაკაცი — მამაკაცი. შიშის არცოდნა“. 2010 წ. 24 ივნისი h. ეს მასალა ასევე დაიბეჭდა ჟურნალ **„GQ“**-შიძ.

ბევრი რომ არ ვილაპარაკო პრეზიდენტისა და ჟურნალისტის ურთიერთობებზე და შემდგომ თანამშრომლობაზე, პირდაპირ ვიტყვი, რომ თუ ასეთი რამ არის, ეს ძალიან კარგია.

ბოლოს და ბოლოს, მეტი რა გვინდა?

რა ინვესტიციებს ველოდებით რუსული მასმედიისგან, თუ ოკუპირებული ტერიტორიებიდან — ჯარების გაყვანაზე ბრძანების გაცემას?

წერილი კი მინდა დავამთავრო იმ კომენტარით, რომლებიც ფეისბუკზე ზემოთ ნახსენებ ვიდეოს საკმაოდ ბევრმა მომხმარებელმა, გაუკეთა:

მიშა მაგარია!

**გია გაბრიჭიძე**





## ინფორმაცია

### შეაფასეს პრეზიდენტის ამერიკული ვოიაჟი

**პრეზიდენტის** ადმინისტრაციაში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გაეროში ვიზიტი შეაფასეს. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, პრეზიდენტი გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში შეხვდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, ფინეთის, ლიტვის, ხორვატიის, ყირგიზეთის, ჰონდურასის და სხვა ქვეყნების პირველ პირებს, ასევე შეხვედრები გამართა ევროკომისრებთან და ბიზნესწრეებთან.



— განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრეზიდენტის შეხვედრა ათასწლეულის პროგრამის ხელმძღვანელთან დენიელ იოჰანსენთან, სადაც მხარეებმა საქართველოში როგორც განხორციელებული პროექტები ასევე სამომავლოდ დაგეგმილი პროექტები განიხილეს. ასევე მინდა გამოვყო ამერიკელ მილიარდელთან რონალდ ტრამპთან პრეზიდენტის შეხვედრა, რომლის დროსაც გადაწყდა რომ ტრამპი საქართველოში შემოვა, — აღნიშნა მანჯგალაძემ. მისივე თქმით, ამერიკელი მილიარდელი თავდაპირველად ინვესტიციებს თბილისსა და ბათუმში განახორციელებს. სხვა პროექტებზე მუშაობა მიმდინარეობს.

— საქართველო იქნება პირველი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც ტრამპი ინვესტიციებს ჩადებს. ამასთან დაკავშირებით პირველი შეხვედრები გაზაფხულზე გაიმართა, ივნისში კი მისი წარმომადგენლები თბილისში და ბათუმში იმყოფებოდნენ, — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

### სენეგალი და ნიგერია დახმარებას გვთხოვენ

**საქართველოს** საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე აშშ-ში ვიზიტს განაგრძობს. ვიზიტის ფარგლებში გრიგოლ ვაშაძე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ მანუჩარ მოთაქს შეხვდა. გაიმართა, აგრეთვე, შეხვედრები სერბეთის, იორდანიის, იაპონიისა და ბულგარეთის საგარეო უწყებების ხელმძღვანელებთან. როგორც ვაშაძემ განაცხადა, რამდენიმე ქვეყანამ, კერძოდ, სენეგალმა და ნიგერიამ საქართველოს ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში დახმარებისათვის მიმართეს.

„ძალიან ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, სენეგალსა და ნიგერიაში, საჭიროა ექსპერტული დახმარება ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში. მათ საქართველოს მომართეს დახმარებისათვის. ძალიან დიდი მოთხოვნაა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებზე. ეს ყველაფერი ქმნის ნიადაგს იმისათვის, რომ საქართველოს ურთიერთობა აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან არ იყოს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ დაფუძნებული ძალიან მყარ ეკონომიკურ ბაზაზე, — განაცხადა ვაშაძემ საუბრისას.

ჯი-ეიჩ-ენი

## ვაი ჩვენს პატრონს!

# გააჩერეთ, გააჩერეთ!..

***რომ იტყვიან, სირცხვილისგან ყურები ამეწვა, როდესაც იმ სამარცხვინო კადრებს ვუყურებდი, საქართველოს პრეზიდენტი დონალდ ტრა...მპის კაბინეტში ლამის ფინიასავით უკანა ფეხებზე ჩაცუცქული, მაამებლური, „უგოდნიკური“ მზერით რომ შესციცინებდა მასპინძელს თვალებში — მიმსახურე, რას მიბრძანებ, შენი ჭირიმეო?***

***იქვე დიდი ჭაბუას უკვდავი შეგონებაც გამახსენდა — შენს ქვეყანაში შენი ოჯახის დესპანი ხარ, ხოლო საზღვარგარეთ — შენი ქვეყნისა, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა, ხოლო გარეთ — შენი სამშობლოსიო.***

ასეთი შეხვედრების დროს ყველა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მცირე დეტალსაც კი თავისი დატვირთვა და შინაარსი აქვს. ჰოდა, იჯდა ოდნავ შემაღლებულზე სავარძელში ეს მსოფლიო დონის ნაძირალა (რატომ? ამაზე ქვემოთძ მისტერ დონალდ ტრა...მპი, როგორც პატრონი, და საქართველოს პრეზიდენტი – ოდნავ „შედაბლებულზე“, როგორც ვასალი უმაღლესი წყალობის მოლოდინში.

სახელისუფლო, ე. წ. ნაციონალურმა არხებმა კი ისეთი კომენტარები გაუკეთეს სამ ხმაში („რუსთავი“ №1, 2, 3ძ, რომ დონალდ ტრა...მპთან აუდიენცია თითქოს დიდი წარმატება, დაფასება იყო მიშა სააკაშვილისა და, აქედან გამომდინარე, საქართველოსიც.

ვინ ბრძანდება ეს ამერიკელი მილიარდერი, რომლის გვარის ფუძე ყველა ქართველში უხერხულ ასოციაციებს იწვევს? ან, რა ბიზნესი აქვს და რაში აპირებს ჩვენთან ფულის ჩადებას?

ვინ და პატარა გოგონების მოყვარული გარყვნილი „ბებერი“, ფულის ტომარა! – ვერ შენიშნეთ, როგორ „პირში ნერწყვით“ აუფრიალა ჩვენს მიშიკოს მისივე პატრონატით გამართული სილამაზის კონკურსის ჟურნალი, რომელშიც ვიღაც ქართველ ლამაზმანს გაუმარჯვია, და შემდეგ რა მსუნაგი თვალებით შეხედა იმ გამარჯვებულის დედას, რომელიც „შემთხვევით“ აღმოჩნდა ვერა ქობალიასთან ერთად ტრა...მპის კაბინეტში? – იცის მიშამ, როგორ უნდა აამოს „ქალამ ბიძიას“...

მისნაირი ბიზნესმენები არაფერს აწარმოებენ. ტრა...მპი ე. წ. უძრავი ქონების ბიზნესს ეწევა, ანუ მიწებს, შენობებს ყიდულობს და ყიდის, რასაც უბრალო ენაზე სპეკულაცია ჰქვია, „პა ხოდუ“ სასტუმროების ქსელებსაც ხლართავს თავისი კაზინოებითა და ბორდელებით.

აი, ამ ყველაფრის ინვესტირების პირობა მიიღო სააკაშვილმა ტრა...მპის კაბინეტში და, აქედან გამომდინარე, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ძირითადად ალბათ ბათუმში: დამლაგებლების, მრეცხავების, შვეიცარების, მიმტანების და, რა თქმა უნდა, ქორფა, ქართველი მეძავების. რაც შეეხება უფრო „პრესტიჟულ“ პროფესიებს – ბარმენებს, კრუპიე-ადმინისტრატორებს, მაგათ „იქიდან“ ჩამოიყვანენ.

თუმცა, ეგეც რომ არ იყოს და, **ტრა...მპი იქნება თუ სხვა მისტერ იქსი, მართლაც რომ რეალურ, ქვეყნისთვის სასარგებლო ინვესტიციებს აპირებდნენ მრეწველობასა თუ სოფლის მეურნეობაში, მაინც არ ეგების, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ვიღაც ბიზნესმენს კაბინეტში ეახლოს!** – სირცხვილია და თავის მოჭრა არა მხოლოდ ნებისმიერი თავმოყვარე ქვეყნის ნებისმიერი პრეზიდენტისთვის, არამედ, პირველ რიგში, იმ ქვეყნისთვის, რომლის პრეზიდენტი ამას გააკეთებს.

**მაგრამ რა ქნას საწყალმა მიშამ, რომელიც, სულ ცოტა ხნის წინათ დემოკრატიის შუქურობისა და უსუსური ბუშის ვარსკვლავბიჭუნა-ფავორიტობის დროს, ისე მიეჩვია ხშირ და უმაღლეს დონეზე ვიზიტებს, რომ უჭირს იმ რეალობასთან შეგუება, როცა არც ერთი სერიოზული ქვეყანა არა თუ ვიზიტებს სთავაზობს, მათი ლიდერები მისთვის ხელის ჩამორთმევასაც კი გაურბიან?**

ამ სავალალო ფონზე მისტერ ტრა...მპმა კი – ამას თქვენი, პრესის გასაგონად ვამბობო (მიმართა ბატონმა დონალდმა საკუთარ კაბინეტში შეკრებილ, „რატომღაც“ მხოლოდ ქართველ ჟურნალისტებსძ, ჯერ ამ კაცზე (მიშაზე – **ავტ**.ძ ლაპარაკობენ, რა მაგარი ვინმეაო და მერე საქართველოზეო!

წაექათინაურა ტრა...მპი მიშას და, თქვენ



### თუმცა ვინაა გამჩერებელი ტრა...მპისთვის „უგოდნიკური“ მზერით შემციცინებელი მიშასი?

რომ ჩამოხვალთ საქართველოში, მერე სულ თქვენზე ილაპარაკებენო – საპასუხო „ქათი“ სტყორცნა მიშიკომ.

მისტერ ტრა...მპთან აუდიენციამდე და გაეროში „სეფე სიტყვის“ თქმამდე (ამაზე ქვემოთძ იმავე გაეროში მოთელვითი სიტყვა თქვა მისტერ სააკაშვილმა?! ნაღდად იფიქრებდი, ან ეს მიშა არ არის, ან რომელიღაც სხვა ქვეყანაზეა საუბარი და არა საქართველოზეო.

ჩვენაო, კორუფცია დავამარცხეთო და რომ არა რუსეთის აგრესია 2008 წლის აგვისტოში, კიდევ ბევრ რამეს დავამარცხებდითო. მაგრამ მაგათ ჯიბრზე და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, მაინც წინ მივდივართ ყველაფერშიო. მოკლედ, რომ იტყვიან, შეუბერა, რა!

**მაგრამ ბოლოს ასეთი რამე დაახეთქა, მისგანაც ცოტა თუ ელოდა.**

**მთავარი ის კი არ არის, ფულით რომ გვეხმარებით, არამედ ის, ამ ფულს სწორად რომ ვხარჯავთო, თორემ ადრე** (ალბათ შევარდნაძის დროს – **ავტ**.ძ **როგორ იყოო – გამოყოფდნენ ფულს განათლების რეფორმისთვის და, ჩინოვნიკები თავიანთ შვილებს აგზავნიდნენ უცხოეთში პრესტიჟულ სასწავლებლებში, გამოყოფდნენ ფულს ჯანდაცვისთვის და, ვიღაცები საკუთარ ცოლებს უცხოეთში სამშობიაროდ აგზავნიდნენო.**

ჯანდაცვაზე საერთოდ ხმის ამოღება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია არა თუ გარეთ, გაეროს ტრიბუნაზე, არამედ სახლშიც. იმ მითიურ 100 საავადმყოფოს თავი რომ დავანებოთ, ისეთ დღეშია უბრალო ქართველი, რომ სერიოზულად ავად გახდომას პირდაპირ სიკვდილი ურჩევნია.

რაც შეეხება „ბრალიან“, ანუ ძლიერთა ამა ქვეყნისათა ქართველებს, ეს იქ, გაეროში არ იციან (???ძ ან თუ იციან, აღარ ახსოვთ, თორემ ჩვენ, თუნდაც იმ სკანდალს რა დაგვავიწყებს, როცა **„ბივში“ ეროვნულ-დემოკრატმა და სულ ახლახან ნაცების ტოპდეპუტატმა, მილიონერმა ბესო ჯუღელმა მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრის ჭიპაშვილის „ბლატით“, როგორც უმწეომ, მკურნალობისთვის გვარიანი თანხა რომ მიიღო ბიუჯეტიდან და მერე რაა?** რა და ამ გაუგონარი ცინიკური დანაშაულისთვის, მინისტრიც და დეპუტატიც, „მკაცრად დაისაჯნენ“ – ორივე, სადღაც ევროპაში ელჩებად „ჩამოაქვეითეს“.

**ან აგერ, სულ ახლახან არ იყო, რომ ჩვენმა „ბედნიერმა“ თბილისის მერმა ავსტრიის დედაქალაქში ამშობიარა საკუთარი ცოლი, რის შემდეგაც მაგრად „შეუბერეს“ რესტორანში, აქედან გაყოლილ საპარლამენტო „ბალელშჩიკებთან“ ერთად გიგი წერეთლის თამადობით?**

ეს ჩვენ „გვაბოლებენ“, რომ ჩვენი მედიცინა არაფრით ჩამოუვარდება (ფასებით ალბათ ძალიან არ ჩამოვრჩებით – **ავტ**.ძ დასავლურს, თორემ თვითონ, აქ ცოლს ამშობიარებენ კი არა, კბილის ამოსაღებადაც დასავლეთში გარბიან.

რაც შეეხება განათლებას, ჯერჯერობით ჩვენს ჩინოვნიკთა შვილების უმრავლესობას ჯერ სასტუდენტო კბილები არ ამოსვლიათ, რადგანაც, როგორც წესი, ჩვენი მინისტრები თუ დეპუტატები თავად არიან თინეიჯერული ასაკისანი. ჰოდა, ჯერჯერობით აქ, პრესტიჟულ საბავშვო ბაღებსა თუ სკოლა-ლიცეუმებში დაჰყავთ თავიანთი ნაგრამი, ხოლო ერთი-ორი ნაცჩინოვნიკი თუ ნაცბიზნესმენი, რომელთა შვილებიც შესაფერისი ასაკისა არიან, დასავლეთის პრესტიჟულ სასწავლებლებში „ნათლდებიან“.

როგორც იტყვიან, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მთავარი თურმე წინ გველოდა, ჩვენი პრეზიდენტის მთავარი, სეფესიტყვის სახით გაეროს ტრიბუნიდან, რომელსაც ჩვენმა ტელევიზიებმა, უფრო სწორად, მიშავიზიებმა და ბარნოვ-რონდელის მსგავსმა ე. წ. ექსპერტებმა, უკვე უწოდეს...

### ჯერ არნახული, ისტორიული გზავნილი მსოფლიოს

**არადა, ეს ყველაფერი ჩვეულებრივი პროპაგანდისტული „შუმიხა“ იყო, რაც არაერთხელ გვსმენია ჩვენი პრეზიდენტისგან, მაგრამ საზღვარგარეთ ცოლების მშობიარობის არ იყოს, აქაც ზედმეტი მოუვიდა.**

აფხაზების და ოსებისთვის გაეროს ტრიბუნიდან რუსეთის ალტერნატივად საქართველოს დემოკრატიაში ერთად ცხოვრების შეთავაზება რომ სრული აბსურდი და უაზრობაა, ეს, „დიდი ექსპერტების“ მიერ საპირისპიროს მტკიცების მიუხედავად, ოდნავ მოაზროვნე კაცისთვისაც ცხადზე უცხადესია.

იგივე ფასი და წონა აქვს მშვიდობიანი კავკასიის იდეას იმ კაცისგან, რომელიც თავად არის ეჭვმიტანილი იგივე კავკასიის „აფეთქებაში“. მიშას სამშვიდობო გზავნილებმა ცხონებული ბრეჟნევის საყვარელი ლოზუნგი „Миру Мир! გამახსენა, რითაც ყოველ გამოსვლას იწყებდა და ამთავრებდა ლეონიდ ილიჩი. ოღონდ ერთი განსხვავებით – **მას, მიხრწნილებაში, მარაზმში მყოფ ლიონიას, უფრო სწორად, სსრკ-ს, მსოფლიო ანგარიშს უწევდა, რადგან საბჭოეთზე რეალურად იყო დამოკიდებული ომი თუ მშვიდობა.**

სხვათა შორის, ისევე როგორც დღეს უწევს მსოფლიო რუსეთს ანგარიშს, რომელიც თურმე, იგივე მიშას ნათქვამით, შურისგან სკდება ოკუპირებული საქართველოს წარმატებების გამო ეკონომიკაში, დემოკრატიაში, ბიზნესში და ა. შ.

ბიზნესზე გამახსენდა და, მიშამ გაეროს ტრიბუნიდან შეახსენა მსოფლიოს, თუ როგორ დაიჭირეს რუსეთში ნიჭიერი ბიზნესმენი მიხეილ ხოდორკოვსკი.

**ამაზეა, ალბათ, ნათქვამი, ჩემი შენ გითხარიო – რა, მართლა, ბნელა მთვარიან ღამეში? რომელი ერთი ჩამოვთვალო ჩვენში დაპატიმრებული თუ საქართველოდან გაძევებული ბიზნესმენებიდან? მათს ნიჭიერებასა და პატიოსნებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მათი ერთადერთი დანაშაული რომ ის არის, ნაცების მუდმივ მეწველ ძროხობაზე რომ თქვეს უარი, ეს ნაღდია.**

აღარაფერს ვიტყვი ბადრი პატარკაციშვილზე, საქართველოს გულანთებულ პატრიოტზე, რომელიც სწორედ ამ „დანაშაულის“ გამო ჯერ აითვალისწუნეს, შემდეგ კი...

დაბოლოს, სააკაშვილის ისტორიული, საეტაპო გამოსვლის ჯეროვანი გაპიარების შემდეგ, მიშავიზიებმა გვამცნეს, რომ ჩვენი პრეზიდენტი მსოფლიო ლიდერებთან შეხვედრებს განაგრძობს. და ვინ აღმოჩნდნენ ეს „მსოფლიო ლიდერები?“ ლატვიის პრეზიდენტი, კვიპროსის პრეზიდენტი, ყირგიზეთის როზა ოტუმბაევა და სენაგალის პრეზიდენტი (მაგის გვარს რა დაიმახსოვრებს!ძ, რომელიც სააკაშვილმა თბილისში დაგვიპატიჟა.

**აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტის შემდეგ სენეგალის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში მართლაც ისტორიული, წინგადადგმული ნაბიჯია. სენეგალის პრეზიდენტის სახელობის ქუჩალა გვაკლია თბილისში!..**

**დავით მხეიძე**

## სარედაქციო ფოსტიდან

### თავდაცვის სამინისტრო – სირაქლემის პოზაში

პანკისის ხეობაში (ახმეტის რაიონიძ სპეცოპერაცია ჩატარდა. დააკავეს თავდაცვის სამინისტროს ოფიცერი სოსო ლუზარაული. იგი იარაღით ვაჭრობაშია ეჭვმიტანილი. ჩხრეკა ჩატარდა დაკავებულის მეგობრის ბათირიშვილის სახლში, რომელიც ასევე თავდაცვის სამინისტროს ოფიცერია. ჩხრეკის შედეგად იარაღია ამოღებული (რაოდენობის დადგენა ვერ მოხერხდაძ. ბინის პატრონმა გაქცევა მოასწრო. მასზე ძებნაა გამოცხადებული.

ახალაიას უწყება მომხდართან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს. პრესცენტრის ხელმძღვანელი ქეთი ჯანელიძე ჟურნალისტთა კითხვებსა და სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. მისმა თანამშრომელმა ირაკლი გურგენიძემ კი მედიის წარმომადგენლები დამოძღვრა და სამინისტროსათვის წერილობით მიმართვა ურჩია.

თავდაცვის სამინისტროსგან განსხვავებით, იარაღით მოვაჭრის დაკავება პროკურატურამ დაამტკიცა, თუმცა იქვე აღინიშნა, რომ სპეცოპერაცია სამხედრო უწყებამ ჩაატარა და პროკურატურა მასში ჩართული არ არის.

ფაქტის რეალობას ამტკიცებს ახმეტის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ჯაფარ ხანგოშვილიც. მისი ინფორმაციით ლუზარაული იქ მეგობართან იყო ჩასული, იარაღს სწორედ იქ ჰყიდდა. ფორმიანები რამდენიმე მანქანით იყვნენ ჩამოსულები, მაგრამ მხოლოდ ლუზარაული დააკავეს. ბათირიშვილმა გაქცევა მოასწრო.

როგორც ჩანს ბაჩო ახალაია კიდევ უფრო გულმოდგინედ აგრძელებს მისი წინამორბედი მინისტრების ტრადიციას და პრესის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ინფორმაციების გაცემის კუთხით ისედაც ყრუდ ჩაკეტილ სამინისტროს კიდევ უფრო მიუდგომელს ხდის, მაშინ, როცა ყველამ ყველაფერი იცის.

**ზაზა ბილიხოძე**

## ინფორმაცია

### ორი ოლიგარქიული კლანის დაპირისპირება და ლუჟკოვის ბედი

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის მოხსნით საქართველოსთვის არაფერი შეიცვლება. პრეზიდენტის პოზიცია ჟურნალისტებს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ბრიფინგზე გააცნო. მისივე თქმით, ქართული მხარე ვარაუდობს, რომ მედვედევის ეს გადაწყვეტილება არის ორ ოლიგარქიულ კლანს შორის დაპირისპირება.**

**ამასთან, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ რუსეთში 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ვითარება შეიძლება კიდევ უფრო დაიძაბოს.**

**იური ლუჟკოვის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დიმიტრი მედვედევის განკარგულება გუშინ გახდა ცნობილი. განკარგულებაში გათავისუფლების მიზეზად მერის ნდობის დაკარგვაა მითითებული.**

ХО-ЭИБ-ЭНИ

№ 181. ოთხშაბათი, 29 სექტემბერი, 2010 წელი.

კომენტარი

# ბიუჯეტში თანხების მობილიზების მორიგი ხერხი?

## თუ საგადასახადო კოდექსი სრულყოფილია, რა საჭიროა ეს დოკუმენტი?

**„რევოლუციური" საგადასახადო კოდექსის მიღების პარალელურად, ბიზნესის ხელშეწყობისა და გადასახადის გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები განხორციელდა და ახალი მომსახურება — „წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის წესი" დაინერგა.**

ამ სერვისის ის არის, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ანგარიშების წესებისა და შესრულებული საგადასახადო ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის წინასწარ მიღების სურვილის შემთხვევაში შეუძლია, შემოსავლების სამსახურს მიმართოს, რის შემდეგაც სპეციალური ჯგუფი მოთხოვნაში დასმულ საკითხებს შეისწავლის.

როგორც შემოსავლების სამსახურში ამტკიცებენ, ახალი მომსახურება გადასახადის გადამხდელის საქმიანობას შეუწყობს ხელს და საჯარო სანქციის გამოყენების შემთხვევებს მინიმუმამდე შეამცირებს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მომსახურება ფასიანია და 5-დან 30 ათას ლარამდე ღირს.

როგორც „პირველს" შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტში განუმარტეს, „წინასწარი გადაწყვეტილების დოკუმენტის" მიღების ღირებულება მომსახურების ვადებზე, ბიზნეს-კომპანიის კაპიტალსა და წლიურ ბრუნვაზეა დამოკიდებული. კერძოდ, 1 მლნ-იანი კაპიტალის და 10 მლნ ლარის ოდენობის წლიური ბრუნვის მქონე კომპანიებს აღნიშნული დოკუმენტის ათ სამუშაო დღეზე მეტ პერიოდში მიღება 10 000 ლარი დაუჯდებათ, ნაკლები კაპიტალის და ბრუნვის მქონეებს — 5 000 ლარი, მაგრამ თუ ბიზნესმენს კონკრეტულ კითხვაზე პასუხის მიღება ათი სამუშაო დღის ვადაში სურს, მაშინ მას სამჯერ მეტის — 30 000 ლარის გადახდა მოუწევს.

ამასთან, როგორც „პირველს" შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი არეშიძემ განუცხადა, იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესმენს ინფორმაციის ჭეშმარიტებაში ეჭვი შეეპარა, მას შეუძლია, დავა სასამართლოში გააგრძელოს, ხოლო თუ ბიზნეს-კომპანია შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობის გაწყვეტას მოისურვებს, მას წინასწარ გადახდილი თანხა უკან დაუბრუნდება.

აღსანიშნავია, რომ 15 სექტემბერს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსმა გიორგი ცხაკაიამ „წინასწარი გადაწყვეტილების დოკუმენტი" მობილური ბაზრის ორ მსხვილ მოთამაშეს — „მაგთის" და „ჯეოსელს" გადასცა და აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ინიციატივას წარმოადგენს.

„ხშირად გვესმოდა, რომ ბიზნესი დაუცველი იყო, მაგრამ ამიერიდან ეს პრობლემა მოიხსნება და კონკრეტულ ოპერაციაზე შემოსავლების სამსახურის მიერ დადებულ დასკვნას კანონის ძალა ექნება", — განმარტა მან.

„წინასწარი გადაწყვეტილების დოკუმენტის" ამოქმედებას დადებითად აფასებენ ბიზნეს-წრეებშიც.

„საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის" ვიცე-პრეზიდენტის გიორგი ისაკაძის განცხადებით, ეს ახალი საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული მუხლია.

„ახალი საგადასახადო კოდექსი ბევრად სჯობს ძველს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მომავალში სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ფინანსური დავა აღარ იარსებებს, „წინასწარი გადაწყვეტილების დოკუმენტი" კი კარგი საშუალებაა იმისა, რომ ბიზნესმენმა ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის ოდენობა პირდაპირ და წინასწარ შეიტყოს", — განუცხადა „პირველს" ისაკაძემ.

ამასთან, „პირველის" კითხვაზე, რატომ უჯდება ბიზნესმენს აღნიშნული დოკუმენტის მიღება 5-დან 30 ათას ლარამდე, მან აღნიშნა, რომ „ინფორმაცია, რომელსაც კონკრეტული ბიზნესმენი ამ დოკუმენტის საშუალებით მიიღებს, ამ თანხად ღირს, რადგან დოკუმენტს იურიდიული ძალაც აქვს".

ექსპერტთა წრეებში კი „წინასწარი გადაწყვეტილების დოკუმენტის" შემოღებას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძე „წინასწარი გადაწყვეტილების დოკუმენტის" ამოქმედებას მიესალმება, მაგრამ მიიჩნევს, რომ თანხა, რომლის გადახდაც ბიზნეს-კომპანიებს დოკუმენტის მიღების სანაცვლოდ უწევთ, საკმაოდ სოლიდურია.

„ზოგადად, „წინასწარი გადაწყვეტილების დოკუმენტის" ამოქმედების იდეა ცუდი ნამდვილად არ არის, რადგან დოკუმენტში ყველა ფინანსური ნაბიჯი სრულად იქნება გაწერილი. თუმცა როგორ იმუშავებს ის პრაქტიკაში, ძნელი გასასაზღვრია იმის გათვალისწინებით, რომ ამ დოკუმენტში საკმაოდ სოლიდური თანხაა გადასახდელი და დამწყებ ან საშუალო ბიზნესის მქონე ბიზნესმენს მისი გადახდა ალბათ, გაუჭირდება", — განუცხადა „პირველს" კალანდაძემ და დასძინა, რომ ასეთი მაღალი საფასურის გამო „წინასწარი გადაწყვეტილების დოკუმენტი" ბიზნეს-სფეროს დიდი სეგმენტს სავარაუდოდ, ვერ მოიცავს.

„არადა, ვფიქრობ, ეს დოკუმენტი სწორედ დამწყებ ბიზნესმენებზე უნდა ყოფილიყო გათვლილი, რადგან „მაგთის" და „ჯეოსელს" კვალიფიციური რჩევები ისედაც არ აკლიათ და ამის გაჭირვება არა აქვთ", — დასძინა მან.

კალანდაძისგან განსხვავებით, „წინასწარი გადაწყვეტილების დოკუმენტის" ამოქმედებას უარყოფითად აფასებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ემზარ ჯგერენაია, რომლის აზრით, „თუ საგადასახადო კოდექსი გამართულია, აღნიშნული სისტემის დანერგვის აუცილებლობა არ არსებობს".

„წინასწარი გადაწყვეტილების დოკუმენტის" საჭიროებას ვერც „ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრის" ექსპერტი დავით ნარმანია ხედავს, რომლის განცხადებით, მსოფლიოს არც ერთ წამყვან ქვეყანაში მსგავსი დოკუმენტი არ მოქმედებს. „ძალიან ბევრი ქვეყნის კანონმდებლობას და რეგულაციებს ვიცნობ, მაგრამ მსგავსი რამ არსად მინახავს. თუ საგადასახადო კოდექსი სრულყოფილი და მკაფიოა, არ მესმის, რისთვის არის საჭირო ეს დოკუმენტი?! როგორც ჩანს, ამ გზით ხელისუფლება ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზებას ცდილობს", — ასკვნის ექსპერტი.

**თელარა გელანტია**

სამეცნიერო ფორუმი

# ოთხდღიან კონფერენციას სამი ქალაქი უმასპინძლებს

**— იმპერიის დროს კავკასიაში ჩადებული ნაღმების ამოქმედებას როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში, რეგიონის მსოფლიოს ერთ-ერთ ცხელ წერტილად გადაქცევა მოჰყვა, რასაც კავკასიელ ხალხთა მეგობრობა უნდა დაუპირისპირდეს. ამდენად თქვენს ფორუმს, რომლის მონაწილეებს გულითადად მივესალმები და რომელსაც წარმატებულ მუშაობას ვუსურვებ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო კავკასიისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, — ნათქვამია, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის 27 სექტემბერს საქართველოს ეროვნულ აკადემიაში გახსნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკის" მონაწილეებისადმი გაგზავნილ მისალმებაში, რომელიც პარლამენტარმა ნუგზარ წიკლაურმა წაიკითხა.**



საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის, ასევე ევროპის, ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის მთელი რიგი ქვეყნის მეცნიერები ჩამოვიდნენ და რომელიც გამოჩენილი არქეოლოგისა და ქართველოლოგის ოთარ ლორთქიფანიძის ხსოვნას მიეძღვნა, შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **თამაზ გამყრელიძემ**. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების წარმოდგენა კავკასიის გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ ყველანი, ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ასე ვთქვათ, „გზაშესაყრის" ბინადარნი მშვიდობიანი და აყვავებული რეგიონისთვის მებრძოლნი ვართ და ყველაფერს ვიღონებთ ამ იდეის განსახორციელებლად.

მისასალმებელ გამოსვლაში „კავკასიის ფონდის" თავკაცმა **გივი ლამბაშიძემ** ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კავკასიის არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ფოლკლორისტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი რიგით მე-12 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პოტენციალი, რომლის წინამორბედები ბაქოში, ბათუმში, ერევანში, მახაჩკალასა და სხვა ქალაქებში გამართულა და რომელთათვის სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილი 1800-ზე მეტი მოხსენება გამოქვეყნდა, აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს კავკასიის ერთიან სახლად გადაქცევის იდეას და დამსწრეთ შარშანდელი კონფერენციის ნაშრომთა კრებული წარუდგინა.

საერთაშორისო კონფერენციის საზეიმო გახსნის ცერემონიას განსაკუთრებული პეწი შემატა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოური წევრის დიპლომის გადაცემამ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **ჰაჯი გამზატოვისთვის**. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავად ბატონმა ჰაჯი გამზატოვმა თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლო, ამიტომ საპატიო დიპლომი აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ მის ძმისშვილს, დიდი დაღესტნელი პოეტის რასულ გამზატოვის ქალიშვილს გადასცა.

სიტყვით გამოსულმა დაღესტანელმა მეცნიერმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ახმედ ოსმანოვმა**, კერძოდ, აღნიშნა, რომ ისტორიკოსები ხშირად ასწლეულობით და ათასწლეულობით ოპერირებენ, რის გამო თითქოს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ წლებს, რომლებიც ქვეყნებისა და მთელი რეგიონების, მით უმეტეს ცალკეული ადამიანების იერსახეს ცვლიან. ეს ეხება როგორც მთლიანად კავკასიას, ასევე პირადად გივი ლამბაშიძეს, რომელსაც იმ დღეს იუბილე ჰქონდა, რაც მას კონფერენციის ყველა მონაწილემ და სტუმარმა გულითადად მიულოცა.

ბატონმა ახმედ ოსმანოვმა ასევე განაცხადა, რომ მთლიანად კავკასიის ერთიან სახლად გადაქცევა არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური, არამედ სამეცნიერო მოვლენაცაა.

თავის მხრივ, მისასალმებელი სიტყვით გამოსულებმა სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელმა, მეცნიერებათა დოქტორმა **ლილია ვარდანიანმა** და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ინგუშეთის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორმა **მუსა გულიევმა** ხაზგასმით აღნიშნეს კონფერენციის უდიდესი მნიშვნელობა თუნდაც იმის გამო, რომ ბოლო წლების მანძილზე კავკასიაში განვითარებულმა მოვლენებმა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა კონტაქტები შეასუსტა, ამდენად ეს დანაკლისი გარკვეულწილად თბილისურმა შეხვედრამ უნდა შეავსოს, რომელიც შემდეგ დღეებში გორის სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში გაგრძელდება. ქალბატონმა ვარდანიანმა კი დამსწრეთა ყურადღება მეცნიერთა ნაშრომების ერთიანად თავმოყრის მნიშვნელობაზე გაამახვილა.

შესავალი ნაწილის შემდეგ საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც 30 სექტემბრამდე გასტანს, მუშაობას შეუდგა. პირველი პლენარული სხდომა, რომელსაც აკადემიკოსები **როინ მეტრეველი** და **ოთარ ჯაფარიძე** თავმჯდომარეობდნენ, მოხსენებით „კავკასიის ცივილიზაცია გლობალიზაციის პირობებში" გახსნა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. შემდგომ მოხსენებები წაიკითხეს ვ. მაისურაძემ (საქართველო), ვ. ბესოლოვმა (რფ ჩრდ. ოსეთი) და ო. ჯაფარიძემ (საქართველო).

მეორე პლენარულ სხდომაზე მოხსენებები სხვადასხვა საკითხებზე წაიკითხეს ქართველმა, ინგუშმა, სომეხმა, გერმანელმა, რუსეთელმა, ოსმა და დაღესტანელმა მეცნიერებმა. მათ დამსწრეთა ყურადღება თემატიკის აქტუალობითა და საკითხების ახლებურად გაშუქებით მიიპყრეს.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც „კავკასიის ფონდის", საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის", საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის ცენტრის, გორის სახ. უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნიკო ბერძენიშვილის სახ. ბათუმის ინსტიტუტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის, დავით ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის, ქართულ-კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოებისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანადგომით გაიმართა, მომდევნო დღეებში მუშაობას გორისა და ბათუმის უნივერსიტეტებში განაგრძობს.

ამდენად, ოთხდღიან კონფერენციას საქართველოს სამი ქალაქი უმასპინძლებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

⊙ ინფორმაცია

## სულ მალე გომბორის გზა გაიხსნება

უახლოეს დღეებში გომბორის გზა გაიხსნება. ამის შესახებ გუშინ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა. ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის გახსნა მომავალი წლისთვის იგეგმებოდა, მაგრამ რამდენიმე თვით ადრე დასრულდა. აღნიშნული პროექტი საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის თანადაფინანსებით განხორციელდა და იგი 43 მილიონი დაჯდა, — განაცხადა მანჯგალაძემ. მისივე თქმით, სულ 55 კილომეტრი საავტომობილო გზა გაკეთდა, ასევე აშენდა ორი ახალი ხიდი, ხოლო შვიდს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.



## ჯილეხის ოცი შემთხვევა აღირიცხა

51 წლის მამაკაცი ჯილეხის ნიშნებით ინფექციურ საავადმყოფოში მოათავსეს. ავადმყოფი თბილისში მარნეულიდან ჩამოიყვანეს. პაციენტს ციმბირის წყლულისთვის დამახასიათებელი ნიშნები ხელის მტევანზე აღენიშნებოდა.

ექიმების განცხადებით, მამაკაცი სტაციონარულ მკურნალობას არ საჭიროებს. მას დაავადების მსუბუქი ფორმები აღენიშნება. ამ ეტაპზე უცნობია, რა ვითარებაში მოხდა მამაკაცის დაინფიცირება

ცნობისათვის: მიმდინარე წელს საქართველოში ჯილეხის 20 შემთხვევა დაფიქსირდა.

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

⊙ ერიჰა!



## ლოკალური სკანდალი „საპატრიარქოს პურთან“ დაკავშირებით

**იცოდა რა ჩემი კუჭნაწლავის პრობლემები, კოლეგამ მირჩია მეკვება „ჯანსაღი პურით“, ხალხში „საპატრიარქოს პურსაც“ რომ ეძახიან. იგი ქართული ხორბლის ჯიშის — დოლის პურის ნატურალური ფქვილისაგან მზადდება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქიმიური შენარევებით სავსე იმპორტულ საფუარს კი არა, მცენარეულ, სვიის საფუარს იყენებენო!**

ცდუნება დიდი გახლდათ და მივაშურე მინი და სუპერმარკეტების ქსელს, ზოგან რომ ერთკილოგრამიან თეთრ, მრგვალი ფორმის პურს 1 ლ. 70 თ.. ზოგან — 1 ლ. 80 თ., იშვიათად, 2 ლარადაც ყიდიან.

აქაც გამოსავალი მიპოვა ჩემმა კოლეგამ: თუ არ დაიზარებ, შეგიძლია ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე პურის საცხობს მიაკითხო. იქვე, მათსავე მარკეტში იგივე მრგვალი თეთრი ერთკილოგრამიანი პური 1 ლ. 60 თ. ღირს, ხოლო, თუ გუშინდელ ანუ მარკეტებიდან დაბრუნებულ პურს იყიდი, — არადა, შენი კუჭნაწლავისათვის ის გაცილებით სასარგებლოა, — 65 თეთრად შეიძენო!

ასეც მოვიქეცი და ერთი-ორჯერ მართალაც უპრობლემოდ მომყიდეს წინა დღის, ფასდაკლებული პური 65 თეთრად, მაგრამ მხოლოდ ერთი-ორჯერ.

25 სექტემბერს, 15 ს და 35 წ-ზე დაბრუნებულმა მრგვალმა თეთრმა პურმა გვარიანად მანერვიულა. სინამდვილეში, პურმა კი არა, ცვლის უფროსმა, რომელმაც, რა თქმა უნდა, ინკოგნიტოდ ამჯობინა დარჩენა (?!) და კატეგორიულად განმიცხადა, რომ იმ დღეს დაბრუნებული პური, ანუ, რომელიც 24 სექტემბერს მთელი დღე იყიდებოდა მრავალ მაღაზიაში, უვარგისია და, გირჩევთ, არ შეიძინოთო! (?! ?! ?!).

ვატყობ, მევირეშმაკება და მეც ჭკუას ვხმარობ: ჩემთვის კი არ მინდა, ქათმებს უნდა ვაჭამო-მეთქი!

ასეთი „ფინტი“ მოულოდნელი აღმოჩნდა, რაღა ეთქვა, ხო ვერ მეტყოდა, არ გინდა, ქათმებს დაგიხოცავსო! გაბრაზებულმა ბრძანა: არ ვყიდი! მორჩა და გათავდაო!

ჩნდება აბსოლუტურად ლოგიკური ეჭვი: ან მათსავე მაღაზიაში შეიტანენ უკვე ჩამოფასებულს და ძველ ფასად გაასაღებენ ან (ეს უფრო სავარაუდოა) ხელმეორედ გადაამუშავებენ!

შენთვისვე გეუბნები, არ გინდაო!

ერთი სიტყვით, თუ ეს სიცრუეა, ჯანდაბას, მარტო მე გამოვდივარ დაჩაგრული, მაგრამ ეს თუ სიმართლეა და პური მართლაც უვარგისია, როგორ არ შეგეცოდება კაცს ის ასობით და ათასობით მომხმარებელი, რომლებმაც 24 სექტემბერს გაფუჭებული პური ჭამეს?!

**გუგუზა შავრაძე.**

***P. S.* მაგრამ, ვინ ჭამს ახლა მაგას, ჩემო ინკოგნიტო ცვლის უფროსო!**

**გ. შ.**

⊙ სარედაქციო ფოსტიდან

## შავი ზღვა თეთრად მოგეჩვენებათ

**თქვენი გაზეთის მ. წ. 25 სექტემბრის ნომერში წავიკითხე ინფორმაცია — „გარემოს დაბინძურებისთვის ზომები გამკაცრდა“.** თურმე ადმინისტრაციული კოდექსი დანაგვიანებისთვის ფინანსური სანქციების გატარებას ითვალისწინებს (ჯარიმები 200 და 1000 ლარი, განმეორების შემთხვევაში 500 და 3000 ლარი) როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის. სანამ მაღალ ჯარიმებს დავაწესებდეთ, უმჯობესია, ნაგვის ბუნკერები დავაყენოთ. მაგალითად, ურეკიდან ქუთაისამდე გზაზე ერთი ნაგვის ბუნკერი არ დგას, ხოლო სოფელ გრიგოლეთში (ვისვენებდი), რომელსაც ბოლო დროს ბევრი დამსვენებელი მიექალა (აჭარაში უფრო ძვირია დასვენება), ნაგვის არც ერთი ბუნკერი არ არის. ამ შესანიშნავ სანაპიროზე ნაგავი სად წაგველო არ ვიცოდით. გარემოს დამცველებს რომ დავურეკე წარმოქმნილი პრობლემის გამო, ჩვენ ეს არ გვეხებაო. თუმცა, ვგონებ, ყოველ ქართველს ეხება სისუფთავე და სწორედ ესაა ამ წერილის მოწერის მიზეზი და მიზანი.

ზომები მაშინ უნდა დააწესო, როდესაც სათანადო პირობებია შექმნილი და ამას არ ასრულებენ. ერთი რეკომენდაცია მაინც მიეცათ გარემოს დამცველებს რომელიმე გამგებლისთვის, ვისაც ნაგავი, წყალი და გზა პრიორიტეტად უნდა ჰქონდეთ გათავისებული. თვალებში ნაცრის ყრას, უმჯობესი იქნებოდა, ნაგვის მანქანები და ბუნკერები შეგვეძინა. ამაზე ხომ ბიუჯეტის თანხები იხარჯება (და არა მათი საკუთარი).

ძალიან ცუდ დღეში არიან ის ადამიანები, ვისაც სამშენებლო ნაგავი აქვს გადასაყრელი. მთელ აუქციონს უწყობენ თვითმცლელი მანქანების მძღოლები. ნუთუ არ შეიძლება გამოცხადდეს ნომერი, ვის მივმართოთ ამ შემთხვევაში. გარდა ამისა, მაგალითად, თბილისში დღემდე (მიუხედავად იმისა, რომ შედარებით მოწესრიგდა ნაგვის საკითხები) შესაბამისი სამსახურები დღგ-ს გარეშე მუშაობენ, რაც მართებული არ არის, რადგან მცირე მეწარმეებს სთხოვენ სალარო აპარატებს და სათანადო ანგარიშსწორებას და ამხელა სამსახური რატომ არის ასე მიშვებული?! მახსოვს, გვპირდებოდნენ, სამსახური აეწყობა და ყველაფერი დალაგდებაო. ჯერჯერობით ჯარიმებითა და მკაცრი ზომებით გვინდა ქვეყნის აშენება და უნარ-ჩვევების დაწესება, რაც არასწორია, რადგან მსხვერპლი უდანაშაულო ადამიანები იქნებიან. თუ ნაგვის ჩასაყრელი არ არის, რა ქნან ადამიანებმა? გაბრძანდით გრიგოლეთის სანაპიროზე და სუფსაში ჩაყრილი მთელი გურიის ნაგავს იქ იხილავთ, ვინ დავაჯარიმოთ, ზღვაა?!

**გიორგი დოლიძე,**
ინჟინერი

## რასაც ყველანი ვხედავთ

### სტუმრად თამაზ შილაკაძესთან

ბატონი თამაზი რომ კარგი მოქალაქე, ძვირფასი მეგობარი და ყოველმხრივ შემკული პიროვნებაა, ეს ყველამ ვიცით, მისი რეგალიებიც, მაგრამ 20 სექტემბერს მის შრომას უშუალოდ ოფისში გავეცანით საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელობა და გულწრფელად გეტყვით, განცვიფრებული დავრჩით — რა ენერგიის, რა ცოდნისა და გამოცდილების, ამასთანავე რა მონდომების უნდა იყო კაცი, რომ გაუძლო ისეთ შრომასა და დატვირთვას, როგორსაც ბატონი თამაზი თავისი მცირერიცხოვანი, მაგრამ მაღალი პროფესიონალიზმის კოლექტივით უძღვება.

შედეგიც ნათელია, ყველა თბილისელი თუ თბილისის სტუმარი ხედავს, რა ტემპებითა და ხარისხით შენდება ქალაქის ავტოსტრადები თავისი ესტაკადებითა და გვირაბებით. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები ჯერ კიდევ არ არის სრულად დამთავრებული, უკვე აშკარად იგრძნობა ავტოტრანსპორტის მოძრაობის გამარტივება.

შეგახსენებთ, რომ ეს ყველაფერი დაპროექტებულია ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების“ მიერ, რომელსაც ბატონი თამაზ შილაკაძე ხელმძღვანელობს.

**დიმიტრი კოტეტიშვილი,**
**რევაზ ტყემალაძე**

⊙ სამეგრელის მხარე

## ქართველებსა და აფხაზებს შორის ნათესაური, მეგობრული ტრადიციების აღდგენას „ზუგდიდელი“ ცდილობს

**17 წელი გავიდა აფხაზეთის ტრაგედიიდან.**

არასამთავრობო საზოგადოება „ზუგდიდელი“ ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის სახალხო დიპლომატიის როლის შესრულებას ცდილობს. მათი მთავარი მიზანი ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდის და მრავალსაუკუნოვანი ნათესაური, ძმური და მეგობრული ტრადიციების აღდგენაა. ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას გვიზიარებს საზოგადოება „ზუგდიდელის“ ვიცე-პრეზიდენტი ბატონი მურმან ნაჭყებია. „სამეგრელოსა და აფხაზეთს, ანუ მეგრელ და აფხაზ ეთნოსს შორის იყო ისტორიულად ჩამოყალიბებული, დამკვიდრებული, მათთვის დამახასიათებელი ძმური, ნათესაური და ულალატო მეზობლობის ურთიერთობის მტკიცე ხიდი. სამწუხაროდ, ორივე მხრიდან მოუქნელმა, ხისტმა და, მე ვიტყოდი, ახლომხედველურმა პოლიტიკამ ეს ხიდი ჩატეხა. ჩემი ღრმა რწმენით, ეს დროებითი მოვლენაა და რაც შეიძლება მალე წარსულს უნდა ჩავაბაროთ ყოველივე. ამიტომაც პირველ რიგში ორ მოძმე ხალხს შორის ურთიერთობის აღდგენაა საჭირო და ამისათვის აუცილებელია ავამუშაოთ მთელი ძალისხმევით მოქნილი სახალხო დიპლომატია. მართალია ეს მეტად რთული და სათუთი საკითხია, მაგრამ პრობლემებისადმი გონივრული მიდგომით, შორსმჭვრეტელური პოლიტიკის გამოყენებით არის შესაძლებელი. ერებს შორის ურთიერთობაში პრობლემა ნამდვილად არ არსებობს, ამისათვის საჭიროა კონკრეტული მიმართულების გზების მოძებნა დიალოგის დასაწყებად, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ჩვენს შორის ნდობის ფაქტორის აღდგენამდე. დღეს მუშტისა და ხმლის მოქნევის დრო არ არის. დღეს არის დრო იმისა, ჭკუას ჭკუა უნდა დაუპირისპირო, ანუ დიდი დიპლომატიაა საჭირო“.

**— ბატონო მურმან, როგორია ამ ურთიერთობის აღდგენის პროცესში რუსეთის ფაქტორი და მისი როლი?**

— „რეალობას ვერსად ვერ გავექცევით. ჩვენ ქართველებს გვინდა თუ არა, აუცილებლად უნდა აღდგეს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა. რატომ არ გაფორმდა რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ჩარჩო-ხელშეკრულება? იმიტომ, რომ რუსები ითხოვდნენ, ჩვენ კი გავალთ საქართველოდან, მაგრამ აქ არ უნდა ჩადგეს სხვა ქვეყნის ჯარებიო, რაზედაც საქართველომ თავი შეიკავა. შედეგად კი მივიღეთ დაკარგული ტერიტორიები. ხოლო რაც შეეხება დიალოგის დაწყებას, აფხაზებთან ეს უნდა მოხდეს ყოველგვარი შუამავლების გარეშე. შუამავალი მაინც შუამავალია. რადგან ის ეწევა ორმაგ თამაშს მხოლოდ და მხოლოდ თავის სასარგებლოდ. რეალობიდან გამომდინარე საერთაშორისო ორგანიზაციები ყოველმხრივ ცდილობენ გაიხანგრძლივონ თავიანთი ყოფნა კონფლიქტის ზონაში, იმიტომ, რომ მათ თითოეულ წარმომადგენელს აქვს მაღალანაზღაურებადი თანამდებობები.

პოლიტიკაში არსებობს ასეთი მოსაზრება: „სახელმწიფოებს შორის როცა წარმოიქმნება უთანხმოება, ხელმძღვანელები კი არ არკვევენ დამოკიდებულებას, არამედ სხდებიან მოლაპარაკების მაგიდასთან პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად“.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი.

⊙ გამოხმაურება

## „ცრუპატრიოტებს“ დავუმატებდი

ბატონო ვალერი (მივმართავ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 25 სექტემბრის ნომერში მოთავსებული წერილის ავტორს ბატონ ვალერი კვარაცხელიას), საზღვარგარეთ მცხოვრები იმ მუქარით გაჟღენთილი წერილის ავტორებიდან, დარწმუნებული ვარ, რუსეთში არც ერთი არ ცხოვრობს. მაინც მინდა ვიფიქრო, რომ პრეზიდენტ მედვედევის სახელზე შეთხზული ეს წერილი მათი დაუფიქრებლობის, ანუ შეცდომის შედეგია. თუ ეს ასე არ არის, მით უარესი, მაშინ ასეთი მოქმედება მათ ღალატად ჩაეთვლებათ იმ ქართველების მიმართ, ვინც დღემდე (და, ვინ იცის, კიდევ როდემდე) რუსეთს აფარებს თავს და არჩენს ოჯახს.

ჯობს, ჩრდილოელ დიდ მეზობელთან ურთიერთობის მოწესრიგების გზები მოინახოს და ამ საქმეში დავუჭიროთ მხარი ჩვენს პრეზიდენტს (ვგულისხმობ მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელ გამოხმაურებას ამ საკითხზე).

**რევაზ ტყემალაძე,**
საქართველოს დამსახურებული მშენებელი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი

№ 181. ოთხშაბათი, 29 სექტემბერი, 2010 წელი.

# ცხოვრების წესი — დიაბეტი



***ბევრ ცნობილ ადამიანს აწუხებდა დიაბეტი, მაგრამ გულდასმითი კონტროლის დროს ეს ხელს არ უშლიდა მათ მიეღწიათ წარმატებისთვის კარიერაში, სპორტში, ხელოვნებაში.***

***მათ შორის არიან ანდრიან მარპლზი — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი სამჭიდში, ბობი ჰალიკანადის ყველაზე ცნობილი ჰოკეისტი, ულამაზესი კინომსახიობები ჰოლი ბერი და შერონ სტოუნი, ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი სენატორი, რუსი პოლიტიკოსი მიხეილ გორბაჩოვი. ეს სია შეიძლება გააგრძელოთ რამდენიმე ფურცელზე. მთავარია გვახსოვდეს, რომ დიაბეტით ცხოვრება შეიძლება ისევე სრულფასოვნად, როგორც ამ ავადმყოფობის გარეშე, მხოლოდ უნდა შეგეძლოს ამის გაკეთება.***

### შიმშილი სიუხვეში

**ზოგიერთ ადამიანში დიაბეტის უბრალო ხსენებაც კი იწვევს შიშს, სხვებს ურჩევნიათ არ შეამჩნიონ მისი მრისხანე სიმპტომები. ხოლო როდესაც გიწევს მაინც მათთვის ყურადღების მოქცევა, ზოგჯერ უკვე დაგვიანებულია. ალბათ ბევრს ხშირად გაუგონია, რომ შაქრის დიაბეტი საშიშია არა თავისთავად, არამედ თავისი მრავალრიცხოვანი გართულებებით. მოდით გავერკვეთ, რით განსხვავდება დიაბეტიკი ჯანმრთელი ადამიანისგან, რატომ ვითარდება გართულებები და თუ შეიძლება მათი თავიდან აცილება.**

შაქრის დიაბეტი — ეს არის სისხლში ქრონიკულად გაზრდილი შაქარი. ასეთი მდგომარეობის დროს ჩვენი სხეულის უჯრედები ძნელად ითვისებენ შაქარს, რომელიც შედის სისხლში საჭმლის გადამუშავების დროს. შაქარი (ან სხვაგვარად — გლუკოზაძ — ეს არის ენერგიის ძირითადი წყარო, „საწვავი“ ორგანიზმის უჯრედებისთვის. იმისთვის, რომ შაქარი სისხლიდან გადავიდეს უჯრედში და გარდაიქმნას იქ ენერგიად, აუცილებელია ინსულინი. როდესაც ადამიანი საჭმელს ჭამს, რომელიც შეიცავს ნახშირწყლებს (მაგალითად, კარტოფილს, ფაფას ან ხილსძ, ის ჩადის კუჭში და იქ იწყებს გადამუშავე-



ბას, იშლება უწვრილეს ნაწილებად, გარდაიქმნება გლუკოზად და იწოვება სისხლში. როგორც კი სისხლში შაქრის დონე იწყებს აწევას, კუჭქვეშა ჯირკვალი უმალვე ამჩნევს მას და გამოყოფს ინსულინს, რომელიც შაქარს აძლევს შესაძლებლობას სისხლიდან გადავიდეს ჩვენი სხეულის უჯრედებში იმ დროს, როდესაც მისი ოდენობა სისხლში მცირდება.

სამწუხაროდ, დიაბეტის დროს ინსულინის გამოყოფის პროცესი დარღვეულია ან საერთოდ აღარც არის. ორგანიზმში ინსულინის ოდენობისა და ხარისხის შესაბამისად შაქრის დიაბეტის ორ ტიპს განასხვავებენ. პირველი ტიპის დროს კუჭქვეშა ჯირკვალი ინსულინს პრაქტიკულად არ გამოყოფს, მეორე ტიპის დროს კი ინსულინი შეიძლება იყოს საკმარისი, მაგრამ იგი მუშაობს ცუდად. შედეგად, მიუხედავად სისხლში შაქრის ზედმეტი ოდენობისა, უჯრედები ვერ ღებულობენ ენერგიის საკმაო ოდენობას, იწყებენ „შიმშილობას“, ავადმყოფი გრძნობს სისუსტეს, ქვეითდება მისი შრომისუნარიანობა, ჩნდება გვერდითი ეფექტები.

> **ჰიპერგლიკემია — ეს არის დაავადების გართულების განვითარების ძირითადი მიზეზი, რომელიც აზიანებს თირკმლებს, თვალებს, გულს, სისხლძარღვებს**

### შევცვალოთ ავტომატი ხელით მართვით

**ადამიანის ორგანიზმი ურთულეს მოწესრიგებულ მექანიზმს ჰგავს. იმისთვის, რომ გაფუჭებული ავტომატური რეგულირება შევცვალოთ ხელით მართვით, საჭიროა დამოუკიდებლად შევასრულოთ ავტოპილოტის ყველა ფუნქცია. კუჭქვეშა ჯირკვლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა სისხლში შაქრის დონის მუდმივი კონტროლი.** დიაბეტის დროს ეს ორგანო თავის როლს ვერ ასრულებს. ამიტომ ავადმყოფმა თავად უნდა გაიზომოს ყოველდღიურად შაქარი სისხლში. საოჯახო გამოყენების თანამედროვე ხელსაწყოების (გლუკომეტრებისძ დახმარებით ამის გაკეთება მარტივია და უბრალო. ნებისმიერ ადამიანს, ასაკის მიუხედავად, შეუძლია ერთ წუთზე ნაკლებ დროში მიიღოს სისხლში შაქრის ზუსტი მაჩვენებელი. ამისთვის საჭიროა თითის საჩხვლეტი სპეციალური სახელურის (როგორც წესი, ის ხელსაწყოსთან ერთად იყიდებაძ დახმარებით პრაქტიკულად უმტკივნეულოდ გამოვიდინოთ ერთი წვეთი სისხლი და წავცხოთ იგი ტესტზოლზე, ხელსაწყოში რომაა ჩასმული.

შეგახსენებთ, რომ ჯანმრთელ ადამიანს შაქარი სისხლში უზმოზე აქვს არანაკლებ 5,5 მმოლ/ლიტრზე, ჭამის შემდეგ კი იწვევს მაქსიმალურად 7,8 მმოლ/ლიტრამდე. როგორც წესი, შაქრის ყველაზე დიდი აწევა შეინიშნება საკვების მიღებიდან 1-2 საათის შემდეგ. თუ ანალიზის შედეგი განსხვავდება ზემოაღნიშნული მონაცემებისგან, უნდა მივიღოთ შესაბამისი ზომები. ცვლილებები რომ არ დაიკარგოს და მოგვცეს ყველაზე მეტი სარგებელი, მიზანშეწონილია შევიტანოთ ისინი თვითკონტროლის დღიურში, რომელიც სპეციალურად არის დამუშავებული ამ დაკვირვებებისთვის.

### კვნიტი შაქარი ჯიბეში

**სისხლში შაქრის მკვეთრი ცვლილებები რომ არ დავუშვათ, დიაბეტით ავადმყოფმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა იცოდეს გაზრდილი და შემცირებული შაქრის სიმპტომები და მათი გამომწვევი მიზეზები, აგრეთვე უნდა შეეძლოს მდგომარეობის მონაცემების კორექტირება.**

გაზრდილ შაქარს ექიმები ჰიპერგლიკემიას უწოდებენ. ეს არის დაავადების გართულების განვითარების ძირითადი მიზეზი, რომელიც აზიანებს თირკმლებს, თვალებს, გულს, სისხლძარღვებს. თუ სწრაფ წმინდა მთის ნაკადულს, რომელიც თავის გზას ასუფთავებს ჭუჭყისგან, შევადარებთ ჭუჭყიან მდორე მდინარეს, ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რა ხდება სისხლძარღვებში შაქრის აწევის დროს. სისხლი უფრო სქელი ხდება, ძნელად გადააქვს აუცილებელი საკვები ნივთიერებანი და ჟანგბადი. სისხლძარღვის კედელი „იჟღინთება“ გლუკოზის ზედმეტი ოდენობით და საკვები ნივთიერებებისთვის ხდება ძნელად გამტარი, კარგავს ელასტიურობას, ადვილია მისი ტრავმირება, რის შედეგადაც წარმოიქმნება მცირე სისხლჩაქცევები. მიკროტრავმების ადგილზე ხდება შემაერთებელი ქსოვილების გაზრდა (შრამებიძ, რაც აუარესებს ორგანოს ფუნქციას. ასეთივე „გაშაქრიანება“ ხდება ნერვების გარსზე, ისინი კარგავენ თავის ფუნქციას, და უქვეითდებათ მგრძნობელობა.

საშიშია შაქრის ძალიან დაბალი დონეც სისხლში (ჰიპოგლიკემიაძ. ჰიპოგლიკემიის ნებისმიერი ფორმის დროს საჭიროა სასწრაფოდ მოვახდინოთ მისი ნორმალიზება ან გავზარდოთ შაქარი სისხლში. მის პირველსავე სიმპტომებზე საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ 20-30 გრამი სუფთა შაქარი ან სხვა სწრაფშეწოვადი ნახშირწყლები. ამიტომ ყველა დიაბეტიკს, სახლიდან გამოსვლის დროს, თუნდაც მცირე ხნით, თან უნდა ჰქონდეს 3-4 კვნიტი შაქარი ან წვენის პატარა პაკეტი. რატომ მაინცდამაინც შაქარი და არა პური ან შოკოლადი? სხვა ნახშირწყლებიანი პროდუქტებისგან განსხვავებით, შაქარი აითვისება ყველაზე სწრაფად, ამიტომ უმალვე სწევს შაქრის დონეს სისხლში. პური, შოკოლადი, ფაფები, კარტოფილი — განეკუთვნებიან ნელად შესაწოვ ნახშირწყლებს, ამიტომ მათი მოქმედება ვლინდება მნიშვნელოვნად უფრო ნელა.

### რომ არ გეშინოდეს, უნდა იცოდე!

**დიაბეტის დროს გართულებათა ვერაგობა არის ის, რომ დიდი ხნის განმავლობაში არაფერი გვტკივა და არ გვაწუხებს, და პაციენტმა არ იცის მოახლოებული საფრთხის შესახებ. რაც მეტი დრო გადის, მით უფრო რთული ხდება დაავადების მკურნალობა.** ხშირად პაციენტმა იცის გართულებათა განვითარების შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ ქვეცნობიერად გაურბის შემოწმებას, ფიქრობს, რომ რაც ნაკლები იცის, მით უფრო ნაკლებად ღელავს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ ფსიქოლოგიურ განწყობას. უნდა გვახსოვდეს, რომ სისხლში შაქრის შემოწმების ცუდი შედეგი ანდა დიაბეტის გამოვლენილი გართულებანიც კი არ უნდა გახდეს განწყობილების გაფუჭების საბაბი, ვინაიდან ეს არის მხოლოდ საბაბი კონსტრუქციული მოქმედებების დაწყებისთვის.

უნდა გვესმოდეს, რომ დიაბეტი შეიძლება საშიში იყოს, თუ მას ზედაპირულად მოვეპყრობით, ანგარიშს არ გავუწევთ მას ანდა, პირიქით, მოვახდენთ მასზე ნამეტან ემოციურ რეაგირებას, გავიფუჭებთ განწყობილებას. ისე კი ავადმყოფს რაც მეტი ეცოდინება თავისი ავადმყოფობის შესახებ, მით ნაკლები ექნება მას ცხოვრებისეული შეზღუდვები და უსიამოვნებანი.

**სერგო გილაშვილი**

## ინფორმაცია თემაში

### იძინე და ავად ნუ გახდები

***ღამის ძილი 6 საათზე ნაკლები ხანგრძლივობით 3-ჯერ ზრდის დიაბეტისა და გულის დაავადებათა რისკს. ასეთი კავშირი დაადგინეს ამერიკელმა და ბრიტანელმა მეცნიერებმა.***

***რაც ნაკლები სძინავს ადამიანს ღამით, მით უფრო მისი ორგანიზმი ველარ ახდენს გლუკოზის რეგულირებას სისხლში ისეთივე ეფექტიანობით, როგორიც საჭიროა. იზრდება მეორე ტიპის დიაბეტის განვითარების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ინსულტის რისკი. ხანმოკლე ძილს მივყავართ გლუკოზის მოუწესრიგებელ მეტაბოლიზმამდე, გრელინის მადის ჰორმონის დონის 28 პროცენტით გადიდებამდე, რაც გავლენას ახდენს კვების ქცევაზე.***

## ჩვენი კარაბადინი

### ფუნთუშა ლოყები წლებს დაგვიმალავს

**ბრიტანელმა მეცნიერებმა გაფანტეს მითი, რომ მოხდენილი ტანი გვაახალგაზრდავებს. კვლევის დროს, რომელშიც ორასმა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ გამხდარი ქალები ისე ახალგაზრდულად არ გამოიყურებიან, როგორც მათი ჭამის მოყვარული თანატოლები.** გამხდარ სახეს შეუძლია შესახედაობაში რამდენიმე წელიწადი მოგვიმატოს. აი მრგვალი პირსახე, პირიქით, ახდენს სიახალგაზრდავისა და სიმხნევის ასოციირებას. მაგრამ ვინაიდან მრგვალი ლოყები არ არსებობს სრული გავისა და შესამჩნევი მუცლის გარეშე, დამებმა უნდა აირჩიონ — გამოიყურებოდნენ ახალგაზრდულად თუ შეინარჩუნონ ფიგურა.



სიგამხდრის გარდა არის სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ვადამდე აბერებენ ქალებს. ეს არის — მოწევა, განქორწინება, ალკოჰოლის მიღება და გარუჯვა.

### გავხდეთ წყლისგან



**თუ ყოველი ჭამის წინ დალევს წყალს, შეიძლება მნიშვნელოვნად გახდე. ასეთი დასკვნა გააკეთეს ამერიკელმა მეცნიერებმა.**

მათ 55-75 წლის 48-ის ამერიკელი შეარჩიეს, რომლებიც არ იცავენ აქტიური ცხოვრების წესს, და დაყვეს ისინი ორ ჯგუფად, ერთი ჯგუფის წარმომადგენლები ყოველი ჭამის წინ სვამდნენ ნახევარ ლიტრ წყალს. თანაც ექსპერტის ყველა მონაწილისთვის საკვების ყოველდღიური კალორიულობა შემცირებული იყო 1200 კილოკალორიამდე ქალებისთვის და 1500 კილოკალორიამდე მამაკაცებისთვის. სამი თვის შემდეგ მათ, ვინც ჭამის წინ წყალს სვამდა, წონაში დაიკლეს საშუალოდ 7 კილოგრამი, ვინც არ სვამდა — 5 კილოგრამი.

### ჯანსაღია ღრძილი – ჯანსაღია გულიც

**ღრძილების დაავადებანი ზრდიან გულის დაავადებათა წარმოქმნის რისკს, დაადგინეს ბრიტანელმა და ირლანდიელმა მეცნიერებმა. სტრეპტოკოკების ბაქტერიები, რომლებიც გვიცავენ კბილის ნადებისაგან, ანთებიანი ღრძილების მეშვეობით ხვდებიან სისხლში და იწყებენ ცილების გამომუშავებას, რაც ხელს უწყობს სისხლში თრომბოციტების შეწებებას.**

როდესაც თრომბოციტები ეწებებიან, ისინი მთლიანად ეხვევიან გარს ბაქტერიას, ქმნიან საფარველს, რომელიც იცავს მას იმუნური სისტემის შეტევისგან და ანტიბიოტიკების მოქმედებისგან. ამას გარდა, თრომბოციტების შეწებებამ შეიძლება გამოიწვიოს ცალკეული სიხლის მცირე შედედება, ახალი წარმონაქმნები გულის სარქველზე და სისხლძარღვთა ანთება.

დაიცავით პირის ღრუს ჰიგიენა, ტკბილი საკვების ზომიერი მიღება და სტომატოლოგთან რეგულარული სტუმრობა ინარჩუნებს ღრძილებს ჯანსაღად, ამცირებს გულის დაავადებათა რისკს.



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისი კონსტიტუციას სასააკაშვილოდ ცვლის

**საქართველოს საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია გასული კვირის ბოლოს გამოვიდა განცხადებით, რომლითაც ქვეყნის პარლამენტს შესთავაზა, შეწყვიტოს კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტის მიღების პროცედურა. შესწორებანი, არსებითად, ვარაუდობენ საქართველოს გარდაქმნას საპრეზიდენტო და საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკად, სადაც პირველი ვიოლინოს როლი პრემიერ-მინისტრს განეკუთვნება. ვარაუდობენ, რომ თუ 2013 წლისთვის ეს ცვლილებანი ძალაში შევა, როდესაც მთავრდება მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო უფლებამოსილებანი, ისინი მისცემენ მას საშუალებას, დარჩეს საქართველოს სათავეში ახალი სახით**

საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის აზრით, თუ აუცილებელია ძირითადი კანონის შეცვლა, მაშინ საჭიროა დავამუშაოთ „ახალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის აზრს, წარვადგინოთ იგი რეალურ საყოველთაო-სახალხო განხილვაზე და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიტანოთ პარლამენტის განსახილველად“. წარმოდგენილი სცენარის რეალიზაციის დაჯერება ძნელია: თუ ხელისუფლება არ უსმენდა ამ დღეებში თბილისში მყოფი ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს, საეჭვოა, რომ უფრო ყურადღებით მოეკიდება საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წინადადებებს. „ვენეციელებმა“ კი, როდესაც შეისწავლეს ცვლილებები, რომლებიც ამცირებენ პრეზიდენტის უფლებამოსილებას, ზრდიან პარლამენტის როლს, და კიდევ უფრო მეტად მთავრობის როლს პრემიერით სათავეში, ოფიციალურ თბილისს რეკომენდაცია მისცეს – თავი შეიკავონ ამისგან.

მიუხედავად ამისა, პარასკევს პარლამენტმა საკმაოდ სწრაფად მიიღო შესწორებანი პირველი წაკითხვით. ცალკეული დეპუტატების საწინააღმდეგოდ, რომლებსაც არგუმენტად ვენეციის კომისიის რჩევა მოჰყავდათ, მმართველი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა: კონსტიტუციას ღებულობენ საქართველოს მოქალაქეებისთვის და არა უცხოელებისთვის“. მოქალაქეებთან დაკავშირებით კი, დარწმუნებულია ხელისუფლება, სწორედ ყველაფერი ნორმალურადაა.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული ცვლილებები, სანამ პარლამენტში შევიდოდა, განიხილეს საქართველოს საზოგადოების სხვადასხვა ფენებში. ყველა მათგანმა, გარდა ოპოზიციისა, მოიწონა იგი. როგორც პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, ეს ყოველივე ჰგავდა იმიტაციას, ვიდრე სერიოზულ საზოგადოებრივ პროცესს, მაგრამ ეს საქართველოს ხელისუფლებას სულაც არ აღელვებს. რაც შეეხება ოპოზიციურ ძალებს, თავდაპირველად ისინი ცდილობდნენ შეეტანათ თავისი წვლილი და მიეღწიათ ზოგიერთი ცვლილებებისთვის, მაგრამ როდესაც ირწმუნეს ძალისხმევის უნიადაგობა, უარი თქვეს მასზე. „ეს დროის



ტყუილად დაკარგვაა. მოვუწოდებთ ყველას, მოგვბაძონ ჩვენ და შეწყვიტონ განხილვა. ამ ქვეყანაში რაიმე რეალურად შეიცვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში“, – განაცხადა რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა.

ერთი შეხედვით, ოპოზიცია, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ბრალს სდებდა სააკაშვილს ხელისუფლების უზურპაციაში, თავად უპირისპირდება თავისსავე თავს. აკრიტიკებს იმ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს, რომლებიც კვეცავენ პრეზიდენტის უფლებამოსილებას პრემიერისა და პარლამენტის სასარგებლოდ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ცვლილებები ძალაში შევა მხოლოდ 2013 წელს, როდესაც იწურება მიხეილ სააკაშვილის მეორე და უკანასკნელი საპრეზიდენტო ვადა. ასეთ დამთხვევას ოპოზიცია არ მიიჩნევს შემთხვევითად და დარწმუნებულია, რომ კონსტიტუცია იქმნება ხელახლა სააკაშვილისთვის და ის გააგრძელებს საქართველოს ხელმძღვანელობას, როდესაც უკვე პრემიერ-მინისტრი იქნება. „შემდეგ, როდესაც შესაძლებლობაც ამოწურული იქნება, კონსტიტუციას გადააკეთებენ ისე, რომ მთავარი გახდება პარლამენტის სპიკერი ან ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი – და ამ პოსტზე კვლავ სააკაშვილი იქნება. ერთი სიტყვით, ჩვენ მივიღეთ მმართველი სიცოცხლის ბოლომდე“, – ასეთი რეზიუმე გააკეთა ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა, რის შემდეგაც განცხადებით მიმართა გაეროს, რათა გენერალურმა მდივანმა ჭკუაზე მოიყვანოს საქართველოს პრეზიდენტი, მან ამავე დროს სარჩელი შეიტანა ჰააგის ტრიბუნალში, რათა მან ხელი მოჰკიდოს „დანაშაულობებს, რომლებიც ჩაიდინა სააკაშვილმა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე“, აგრეთვე წერილით მიმართა თეთრ სახლს, რომელშიც სთხოვს ვაშინგტონს უკან წაიყვანოს „თავისი კაცი, სანამ საქართველო საბოლოოდ არ დანგრეულა“.

სააკაშვილმა მომხდარს ერთგვარი ვრცელი კომენტარი გაუკეთა. „მე რომ ხელისუფლებაში მინდოდეს დარჩენა, არ მოვინდომებდი კონსტიტუციის შეცვლას, ამისთვის მე მაქვს სხვა შესაძლებლობანი“. ნიუ-იორკში კი გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომებს შორის მან ჟურნალისტებს კატეგორიულად განუცხადა, რომ 2013 წლის შემდეგ ის მიდის – აიო, არის უამრავი სხვა სფერო და საქმიანობის სახეობა და არ სურს მთელი სიცოცხლე მხოლოდ პოლიტიკას ეწეოდეს, როდესაც არსებობს, მაგალითად, არქიტექტურა. როგორც ოპოზიციონერი დეპუტატები ამტკიცებენ, პრეზიდენტის ამ განცხადებამ შოკში ჩააგდო პარლამენტის უმრავლესობა. მორიგ პლენარულ სხდომაზე მათ „გადააჭარბეს თავიანთ თავს აგრესიაში და უხამსობაში უმცირესობისადმი “. და თუ ეს მართლაც ასეა, ამისთვის არის განმარტება – უსააკაშვილოდ „ნაციონალების“ უდიდესი ნაწილისთვის პოლიტიკური კარიერის გაგრძელების შანსი მნიშვნელოვნად კლებულობს.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# მიშამ 2013 წელს შეიძლება პუტინის გამბიტი გაიმეოროს

**„მე უბრალოდ დავტკბები ხელოვნებით, ცხოვრებით, ახალი არქიტექტურით და ჩემთვის სულ ერთია, ეხსომებათ თუ არა პრეზიდენტი სააკაშვილი“**

ეს განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გასულ კვირას, როდესაც კვლავ დაიწყო განხილვა საკითხისა იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს მან, როდესაც დამთავრდება მისი საპრეზიდენტო ვადა. მართალია, სააკაშვილის მოწინააღმდეგეები, უეჭველია, კმაყოფილებით შეხედავდნენ, თუ გადამდგარი პრეზიდენტი როგორ შევიდოდა თბილისის კაფეებსა და გალერეებში, მაინც ოპოზიციონერთა უმრავლესობას არ სჯერა, რომ უახლოეს პერიოდში შეიძლება დატკბეს ამ სანახაობით.

ამ ზაფხულს პარლამენტარები განიხილავდნენ საკონსტიტუციო რეფორმებს, რომლებმაც შეიძლება მოახდინონ საქართველოს პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაცია, შეამციროს პრეზიდენტის უფლებამოსილებანი და გააძლიეროს პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრისა. აღვნიშნავთ, რომ ოპოზიციური პარტიები, რომლების ამ ცოტა ხნის წინათ მოითხოვდნენ საპრეზიდენტო ხელისუფლების შემცირებას და პარლამენტის გავლენის გაძლიერებას, ამჟამად უკვე უკმაყოფილონი არიან რეფორმებით. საქმე ისაა, რომ მათ ეშინიათ: ახალი პრემიერ-მინისტრი გაფართოებული უფლებამოსილებით გახდება არა ვინმე სხვა, არამედ სააკაშვილი.

2013 წელს სააკაშვილი ამთავრებს თავის მეორე საპრეზიდენტო ვადას და უნდა დატოვოს თავისი პოსტი. ბევრ ქართველს მიაჩნია, რომ იგი პოლიტიკიდან არ წავა. მიუხედავად რუსეთთან გამანადგურებელი ომისა და ბრალდებისა იმასთან დაკავშირებით, რომ ფაქტობრივად ის გახდა თვითმპყრობელი საქართველოში, ის მაინც დარჩა ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსად ქვეყანაში. ზოგიერთი მისი მომხრე ამტკიცებს, რომ ისეთი ენერგიისა და ისეთი წარმოდგენების მქონე ადამიანის გადაყენება, უპასუხისმგებლობა იქნებოდა.

მაშ, ხომ არ გაიმეორებს იგი თავისი მტრის ვლადიმერ პუტინის გზას და გახდება პრემიერ-მინისტრი, საპრეზიდენტო უფლებამოსილებას კი დაუტოვებს ერთ-ერთ თავის მომხრეს? სააკაშვილს ამ კითხვაზე ჯერჯერობით არ უპასუხია სიტყვით „დიახ“. მაგრამ მას არც „არა“ უთქვამს – მხოლოდ განაცხადა, რომ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები არ ისახავს მიზნად, რომ გაუგრძელოს მას ხელისუფლებაში ყოფნა.

ამავე დროს მან აშკარად აგრძნობინა ყველას, რომ მას სურს, ქვეყანა მართოს მისმა გარემოცვამ. „არაფერია გასაოცარი იმაში, რომ ძალისხმევას არ დავიშურებ, რათა იმ რეფორმატორების იდეოლოგია და გუნდი, რომელსაც მე წარმოვადგენ, ინარჩუნებდეს თავის მდგომარეობას 2013 წლის შემდეგაც“, – ხაზგასმით აღნიშნა მან.

ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა ერთხელ განაცხადა, რომ იგი გააგრძელებს „მართვას, მართვას და მართვას“. რასაკვირველია, ეს ასე არ გამოსულა – იგი გადააყენეს ისევ საკუთარმავე მინისტრებმა. მაგრამ, სააკაშვილს, ტეტჩერისგან განსხვავებით, ძნელად რომ ემუქრებოდეს „სასახლის გადატრიალება“, ვინაიდან – თუ განზე გადავდებთ პოტენციურად მოუხერხებელ პარალელებს პუტინთან – არჩევანი, უნდა იბრძოლოს თუ არა მან ხელისუფლებისთვის, მთლიანად მასზე იქნება დამოკიდებული.

The Moscow Times

## განცხადება აქტივების რეალიზაციის შესახებ

**სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სალიკვიდაციო კომისია აცხადებს აქტივების რეალიზაციას:**

1. ბანკის კრედიტორულ მოთხოვნებზე (სასესხო დავალიანებაზე). იყიდება ბანკის მოთხოვნები სუბიექტების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიმართ მოსათხოვი თანხის 50 პროცენტში.

2. ბანკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები) შეფასებული ღირებულების 50 პროცენტში.

- ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. ახალსოფელი, მიწის ნაკვეთი 502 კვ.მ.,შენობა-ნაგებობა(მშენებარე) 398.80 კვ.მ., ფასი -35500 ლარი.
- ქ. ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი №178, მიწის ნაკვეთი 350 კვ.მ. და შენობა-ნაგებობა(საცხოვრებელი) 624.13 კვ.მ. დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში 350 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და შენობის პირველი სართული 210 კვ. მ., ხოლო დასარეგისტრირებელია შენობის 3 სართული 414.13 კვ.მ. ფასი-66750 ლარი.
- ქობულეთის რ-ნი სოფ. ქვემო კვირიკე, მიწის ნაკვეთი – 5000 კვ.მ., შენობა- ნაგებობა (ორსართულიანი საცხოვრებელი ბინა) ფართი – 465 კვ.მ., ფასი- 52250 ლარი.

3. სატელეფონო სადგური - Alkatel 1000 C12 (4 000 აბონენტზე);

4. ბანკის საკუთრებაში არსებულ სს „მშენებლის“, სს „ბათუმსპეცმონტაჟის“, სს „უქსოვადი ქსოვილების“, სს „ინტურისტის“, სს „ქობულეთის ჩაის“, სს „სტამბის“, სს“აჭარწიგნის“ და სს „ბათუმის ტყავის ქარხნის“ აქციებს.

მისამართი : ქ.ბათუმი, 26 მაისის ქ. №33.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ტელ; 7-60-03. 899-51-13-82.

**სალიკვიდაციო კომისია**

ლიკვიდატორი
**რ. ცაციაშვილი.**

## დედამიწის ზურგზე



**კიმ ჩენ ირი კვლავ აირჩიეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველი შრომის პარტიის გენერალურ მდივნად**

არჩევა მოხდა ფხენიანში გახსნილ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა პირველად უკანასკნელი 44 წლის განმავლობაში. ელოდებიან, რომ მასზე მოხდება გადაადგილებანი კორეის შრომის პარტიის ხელმძღვანელობაში, აგრეთვე დასახელდება ბელადის მემკვიდრეც. წინა დღით მან თავის უმცროს შვილს გენერლის წოდება მიანიჭა.

* * *

**ბრიტანელი მწერალი: ნამდვილი ჯეიმს ბონდი ჯუჯა იყო და რუსეთში მოსწავლის ფორმით შეიპარა**

ჯეიმს ბონდის პროტოტიპი იყო ბრიტანული დაზვერვის აგენტი უილფრედ დანდერდიელი, მეტსახელად ბიფი, ამტკიცებს ახალი წიგნის ავტორი. ერთხელ დან დერდიელი ასრულებდა დავალებას ოდესაში, სადაც ირკვევდა მინი წყალქვეშა ნავის აწყობის წვრილმანებს.

**თვითმკვლელმა მოტოციკლისტმა გზაზე ააფეთქა ავღანეთის ვიცე გუბერნატორი თავის მახლობლებთან და დაცვასთან ერთად**

ტერორისტი შეიჭრა კორტეჟში და აამოქმედა ბომბი. ტერორისტული აქტის შედეგად ქალაქ გაზნში დაიღუპნენ გუბერნატორის მოადგილე მუჰამ კაზიმ ალაიარი და კიდევ ხუთი კაცი, მათ შორის ჩინოვნიკის ვაჟიშვილი და ძმისწული.



* * *

**იაპონიის პრემიერ-მინისტრმა მედვედევს შეახსენა, სამხრეთ კურილიის კუნძულები ეკუთვნის არა რუსეთს, არმედ იაპონიასო**

„ჩვენი პოზიცია ჩრდილოეთის ტერიტორიების საკითხზე უცვლელია“, – აღნიშნა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ნაოტო კანმა. იაპონიის მთავრობის ხელმძღვანელის განცხადება გაკეთდა მას შემდეგ, რაც გაჩნდა ცნობა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის გეგმის შესახებ, მოინახულოს სამხრეთი კურილიის კუნძულები ჩინეთში ვიზიტის დამთავრების შემდეგ.

* * *

**უგო ჩავესმა გამოაცხადა ვენესუელაში პარლამენტის არჩევნების შედეგები. ცენტრალური საარჩევნო კომისია ჯერჯერობით დუმს**

ჩავესის სიტყვებით, ვენესუელის მმართველმა ერთიანმა პარტიამ, რომელსაც პრეზიდენტი უდგას სათავეში, მიიღო 98 ადგილი 165-დან. მაგრამ უმრავლესობა, რომელიც მიიღო ჩავესმა, საკმარისი არაა კანონპროექტების განსახორციელებლად მხოლოდ საკუთარი პარტიის ძალებით. ამისთვის მას სჭირდებოდა მინიმუმ ორი მესამედი – 110 სადეპუტატო მანდატი.



## ჩვენი ბიბლიოთეკა

ბრიდამ იცოდა, რომ არ ეგებოდა იმის კითხვა, ამდენი ფული საიდან გაქვსო. თუმცა დაუცხრომელმა ცნობისწადილმა კინაღამ კარგი ტონის ელემენტარული წესი და რიგი აგულმავიწყა.

დღე ერთ-ერთ საუკეთესო იაპონურ რესტორანში დასრულდა, სადაც საშიმი შეუკვეთეს.

– ღმერთმა გვიკურთხოს ტრაპეზი, – თქვა უიკამ. – ჩვენ ყველანი უცნობ ზღვებს მოღებული მოგზაურნი ვართ, დაე მან, მამაზეციერმა, სითამამე შეგვინარჩუნოს, რათა ზღვათა სიღრმის საიდუმლოს დასვინაღრება და დამუღამება შევძლოთ.

– მერედა, შენ ხომ მთვარის ტრადიციის მოძღვარი ხარ, – შენიშნა ბრიდამ. – პასუხიც სუყველა იცი.

უიკა ერთხანს უაზროდ დასცქეროდა საჭმელს თავის თეფშზე.

– მართალი ხარ, ნამდვილად ვიცი, როგორ უნდა მომგზავრება, ანუ მიმოსვლა აწმყოსა და წარსულს შორის, – თქვა მან ხანგრძლივი დუმილის შემდეგ. – მე სულთა სამყაროც შევიცანი და ისეთ განსაცვიფრებელ ძალებთანაც მქონია ურთიერთმოქმედება, რომ იმათ აღსაწერად ამქვეყნად არსებული ენების სიტყვებიც არ მეყოფა. ალბათ, თამამად შემიძლია თქმა, რომ ვფლობ იმ გზის უტყვ ცოდნას, რომელი გზაც გამოვლო კაცთა მოდგმამ დრო-ჟამის დასაბამიდან აგერ ამწუთამდე.

და აი ამ დიდი სიბრძნით აღჭურვილი მოძღვარი ვაცხადებ, რომ ადამიანისშვილნი ვერცროდის ძირისძირობამდე ვერ ჩავწვდებით – გესმის, რას ვამბობ? – ჩვენი ყოფიერების საბოლოო საზრისს. ჩვენ შეგვიძლია პასუხის გაცემა ისეთ კითხვებზე, როგორიც არის – „როგორ?“, „როდის?“, „საიდან?“, მაგრამ კითხვა „რისთვის?“ უკუნითი უკუნისამდე ღია, უპასუხო დარჩება. სამყაროს უდიდესი ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრი, უფრო სწორად, განგებულება, ოდენ იმ ერთმა უწყის – და არცვინ მეტმა.

და ახლა, როცა ჩვენ ორივენი აქ ვსადილობთ, დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ადამიანთა ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი თავის თავს ამას ეკითხება – სუყველა, რასაკვირველია, თავისებურად. რისთვის ვართ აქ? ერთნი პასუხის პოვნას იმედოვნებენ თავიანთ რელიგიაში ანდა, პირიქით, თავიანთ მატერიალიზმში. მეორენი სასოწარკვეთილნი ფლანგავენ თავიანთ ცხოვრებასაც და ფულსაც – ზოგჯერ დიდძალს, – ამ პასუხის ამაო ძიებაში. მესამენი კი – თუმცაღა ძალიან ცოტანი – საერთოდ უპასუხოდ ტოვებენ ამ კითხვას, ერთი დღით ცხოვრობენ და არცრა შედეგს რასმე არ დაგიდევენ.

და მხოლოდ იმათ, ვინც ვაჟკაცურად შემართულია და ამასთანავე დაუფლებულია როგორც მზის ტრადიციას, ისე მთვარის ტრადიციას, უწყიან ერთადერთი შესაძლო პასუხი: „არ ვიცი“.

ამ ამბავმა პირველ ხანს იქნებ გულიც აგვიფანცქალოს, უსაყრდენოდაც დაგვტოვოს და დაუცველადაც სოფელ-ქვეყნის წინაშე, ყოველივე იმის წინაშე, რაც ამ სოფელ-ქვეყანაშია, და თვითონ ჩვენი ყოფიერების საზრისის წინაშეც. მაგრამ მერმე, ოდეს თავდაპირველი შიში გაგვივლის, თანდათან შევეწყობით და შევეგუებით ერთადერთ შესაძლო გადაწყვეტილებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უნდა მივყვეთ ჩვენს ოცნებებს. ოღონდ გამამაცება გვმართებს, რათა ხორცი შევასხათ ნაოცნებარს რასმე, მიწყივ სანატრსა და სანუკველს, რათა დავაბეჯითოთ და დავაჭეშმარიტოთ, რომ ღმერთი გვწამს და ვენდობით.

და რაწამს ყოველივე ამას ვამუღამებთ, წუთისოფელი ჩვენთვის წმინდა მნიშვნელობას იძენს, ჩვენ კი იმის მსგავსი განცდა გვეუფლება, ყოვლადწმინდა ქალწულმა რომ განიცადა, რა დღესაც ჩვეულებრივი არსებობა უცნობის გამოჩენამ დაურღვია. „იყოს ნება შენი“, – თქვა ქალწულმა, მოუსმინა რა უცნობს. რამეთუ მიხვდა, რომ, რაჟამს საიდუმლოს ამუღამებს, ადამიანი გაუგონარ და მიუწვდომელ სიმაღლეზე ადის და სიდიადეს იძენს.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ უიკამ ისევ გაალღვიძა კბილი, პირიააცმაცუნა. ბრიდა თვალს არ აშორებდა თავის მოძღვარს და ეამაყებოდა, რომ იმის გვერდით იჯდა. უკვე აღარც ახსოვდა, წეღან შეკითხვა რომ უნდოდა – თუმცა ვერცროდის ამას ვერ გაუბედავდა, – საღ და როგორ შოულობდა საჭირო ფულს, უყვარდა თუ არა იგი ვისმე, ეეჭვიანა თუ არა ოდესმე. ახლა ის იმათი სულის სიდიადეზე ფიქრობდა, ვინც მორჭმულია ჭეშმარიტი სიბრძნით, ვინც მთელი სიცოცხლე იმ პასუხს ეძებდა, რომელი პასუხიც არ არსებობს, და როცა ჩახვდა ამას, ცრუ ახსნა-განმარტებათა გამოგონება არ დაუწყია. ვინც ბედს შეურიგდა და თავისი გაგებისთვის მიუწვდომელ სოფელ-ქვეყანაში განაგრძო ცხოვრება. თუმცაღა ამ ბრძენკაცთ ამის ქმნა ერთადერთი შესაძლო ხერხით შეეძლოთ – ასდევნებოდნენ თავიანთ საკუთარ სურვილებსა და ოცნებებს, რამეთუ ადამიანისშვილი ოდენ აგრე გადაიქცევა ღმრთის იარაღად.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-166, 168-169, 171-172, 176-177, 180.

– მაშ, ძებნას რა აზრი აქვს? – ჰკითხა ყმაწვილქალმა.

– ჩვენ არ ვეძებთ, ჩვენ ვამუღამებთ, და მაშინ ცხოვრება შეუდარებლად შინაარსიანი და ცხადი ხდება, რადგან, ვხვდებით, რომ სუყოველი ჩვენი ნაბიჯი, ცხოვრების რაგინდარა წამს გადადგმული, გაცილებით ბევრსა ნიშნავს, ვიდრე ჩვენ თვითონ ვნიშნავთ რასმე. გვესმის, რომ დროისა და სივრცის სუყოველ წერტილში ამ კითხვას პასუხი ეძლევა. გვესმის, რომ არსებობს მიზეზი, რა მიზეზითაც ჩვენ აქ ვართ, – ეს კი საკმარისია.

რწმენით აღვსილნი ჩვენ ღამის წყვდიადში ვიძირებით, ვასრულებთ ჩვენს დანიშნულებას ანდა, როგორც ძველად ალქიმიკოსნი იტყოდნენ, – ჩვენს სავალს მივდევთ და თითოეულ წამს სულ ერთიანად, მთელი ჩვენი არსებით მინდობილთ არ გვავიწყდება, რომ არის მავანი ხელი, რომელიც მუდმივად გვმართავს. და უკვე ჩვენი საქმეა – ჩავეჭიდებით ამ ხელს თუ უარვყოფთ.

საღამოთი ბრიდა დიდხანს უსმენდა მუსიკას, მთლად თავმინაბრებული იმის ჯადოსნურ შეგრძნებას, რომ სული ედგა და სიცოცხლეს იყო დაწაფებული. იხსენებდა თავის საყვარელ მგოსანთ, რომელთაგან ერთ-ერთის სტრი-




ქონმა იმდენი რწმენა მომადლა, რამდენიც საჭიროა, რომ ადამიანი ადგეს და სიბრძნის საძიებლად წავიდეს. ის მგოსანი ინგლისში ცხოვრობდა, მრავალი წლის წინათ, და უილიამ ბლეიკად იწოდებოდა. ეს სტრიქონი კი აგრე ჟღერდა:

„სადაც კითხვაა, იქვე უნდა იყოს პასუხიც“.

დგებოდა რიტუალის შესრულების დრო. ბრიდა თავისი პატარა საკურთხევლის წინარე დაჯდა, რათა რამდენიმე წუთს თვალმოუშორებლად ეცქირა სანთლის ალისთვის. და ალმა ისევ იმ დღეში გადაიყვანა, როცა ის და ლორენსი ალესილებზე სიყვარულობდნენ. თოლიები ხან მაღლა ცაში იჭრებოდნენ, ხან ზედ წყალს დასტრიალებდნენ.

და თევზთ, ალბათ, უკვირდათ, როგორღა დაფრინავენო, იმიტომ რომ დროდადრო ამ უცნაურ არსებათაგან ერთ-ერთი რომელიმე წამს წყალში ყვინთავდა, წამს ისევ ამოიყურყუმალავებდა ხოლმე.

ფრინველნი კი, ალბათ, საგონებელში იყვნენ: წყალში სუნთქვა როგორ შეიძლებაო, რამეთუ ნადირობით ისინი ზედაპირზე ნადირობდნენ.

არიან ფრინველნი და არიან თევზნი. ისინი ორ სხვადასხვა სამყაროში ბინადრობენ, და, მართალია, ეს სამყაროები ხანისად ერთმანეთს ხვდებიან, მაგრამ ერთი ვერასოდეს ვერ უპასუხებს მეორის კითხვებს. შეკითხვები კი ორივესა აქვს. და შეკითხვები თავ-თავიანთ პასუხთ ელიან.

ბრიდა თვალს არ აცილებდა სანთელს, და თანდათან მაგიურ ატმოსფეროში მოექცა. ცხადია, აგრეც მოხდებოდა და მოხდა კიდეც, ოღონდ დამაჯერებლობა და დაძაბულობა დღეს რაღაც განსაკუთრებული იყო.

უკეთუ ყმაწვილქალს შეკითხვა შეეძლო, მხოლოდ იმიტომ შეეძლო, რომ პასუხი უკვე არსებობს მეორე სამყაროში. და ვიღაცა იმას მაინც შეიტყობს, ყმაწვილქალმა ვერც ვერასოდეს რომ ვერ მიაგნოს იმ პასუხს. ამიტომ საჭირო არც არის ცხოვრების საზრისის ძიება – საკმარისია მხოლოდ იმასთან შეხვედრა, ვინც იცის. მერე კი იმის მკლავებში ჩვილი ყრმის უშფოთველი ძილით უნდა მიიძინოს გულდაჯერებულმა, რომ ქვეყნად არის კაცი, რომელიც შენზე ძლიერია, და რომელიც გიცავს ყოველგვარი ბოროტისგან, სუყოველი საფრთხისგან.

რიტუალი რომ გაასრულა, ბრიდამ მოკლე ლოცვა შექმნა და მადლიერება გამოხატა იმ ნაბიჯებისა გამო, რომელთა გადადგმაც უკვე მოასწრო. ის მადლსა სწირავდა ზეცას იმის გულისთვის, რომ პირველ კაცს, ვისაც მან გრძნება-მაგიის თაობაზე ჰკითხა, სოფელ-ქვეყნის მოწყობილობის ახსნა-განმარტება არ უცდია, პირიქით, მთელი ღამე ტყის წყვდიადში გაატარებინა.

ახლაც ადგება და წავა იმასთან, ყველაფრისთვის მადლობას ეტყვის, რაც რამ იმისგან უსწავლია.

როცა კი ეს კაცი მოუძებნია, თვითონ ყოველთვის რაღაცის ძიებაში ყოფილა, ხოლო როს საძებნი რამ მოუპოვებია, დაუკრავს ფეხი და ისე წასულა, ამ კაცს არც დამშვიდობებია. არადა სწორედ მან მიაყენა იმ ჭიშკარსა თუ კარიბჭეს, სადაც ის ბუნიაობის დღეს უნდა შევიდეს. ასე რომ იმისთვის მადლობის თქმა აუცილებელიც კია.

არა, ყმაწვილქალს სულაც არ შინებია, რომ შეუყვარდებოდა იგი. ლორენსს უკვე ამოუკითხა თვალებში ბევრი რამ ისეთი, რაც ადრე თვითონ ჰქონდა სულში გადამალული.

და თუ კაბაზე ოცნებისა გამო ჯერეთ კიდევ შეიძლებოდა დაეჭვება, სამაგიეროდ უკიდურესად ნათელი იყო ყველაფერი, რაც ხელდასხმის მომლოდინე ყმაწვილქალის სიყვარულს შეეხებოდა.

– მადლობელი ვარ, რომ დამეთანხმე და უარი არ მითხარი დაპატიჟებაზე, – თქვა ბრიდამ, როცა ისინი პატარა მაგიდას მიუსხდნენ ქალაქის იმ ერთადერთ ბარში, სადაც მოგვს თვალებში პირველად დაუნახა უცნაური რამ ციაგი.

მოგვს პასუხად სიტყვა არ დაუძრავს. ცხადი იყო, რომ ყმაწვილქალს გასაოცრად შესცვლოდა ამანი – ყველაფრის მიხედვით ჩანდა, რომ თავისთავში ახალი რამ ძალა გაეღვიძებინა.

– ტყეში მარტო რომ დამტოვე, იმ დღეს ჩემს თავს აქ დაბრუნება აღვუთქვი, რათა მადლობა მეთქვა ანდა შემეჩვენებინე. დაბრუნება იმ დროისთვის დავთქვი, როცა ჩემი გზის ამბავს შევიტყობდი. თუმცაღა ჯერხანად არც ერთი დათქმული პირობა არ შემისრულებია: დასამალი რა მაქვს, ხელის აპყრობა კვლავინდებურად მეჭირვება და, ვიცი, მეოხებას არ დამამადლი.

იქნებ თავდაჯერებულადაც ვჩანვარ, მაგრამ უნდა იცოდე, რომ ის იარაღი ვიყავი, რომელიც ღვთის ხელს ეპყრა. და დღეს ჩემს სტუმრად მინდა შენი ხილვა, უნდა გიმასპინძლო.

ბრიდა, როგორც ყოველთვის, ორი პორცია ვისკის შეკვეთას ეპირებოდა, მაგრამ მოგვი წამოდგა, დახლთან მივიდა და, მაგიდასთან რომ მობრუნდა, ხელთ ერთი ბოთლი ღვინო, ერთი ბოთლი მინერალური წყალი და ორი ჭიქა ეჭირა.

– ძველ სპარსეთში, – თქვა მან, – ორი ადამიანი დასალევად რომ ხვდებოდა ერთმანეთს, ისინი აუცილებლად სუფრის მეფეს, ანუ თამადას ირჩევდნენ. თამადა ჩვეულებრივ დამპატიჟებელი ხდებოდა.

მოგვმა არ უწყოდა, საკმარისად მტკიცედ უჟღერდა თუ არა ხმა, ის ვნებამორეული კაცი იყო, ადვილად იცოდა ქალის შეყვარება, ბრიდა კი ახლა სულ სხვა ჯავარზე შეხვდა, სხვა შინაგან ძალას ასხივებდა.

მან ორივე ბოთლი ბრიდას დაუდგა წინ.

– სუფრის გაძღოლა თამადას ევალებოდა. თუ პირველ ჭიქაში წყალს მეტს დაასხამდა, ვიდრე ღვინოს, ეს იმას ნიშნავდა, რომ საუბარი რაღაც მნიშვნელოვან ამბავს შეეხებოდა. თუ თანაბრად დაასხამდა, საუბარი საგულისოც იქნებოდა და თავშესაქცევიც. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჭიქას ღვინით გაალიცლიცებდა და რამდენიმე წვეთ წყალსაც დაუმატებდა, სუფრას სულ არიარალეს დაძახილში უნდა ჩაევლო.

ბრიდამ ჭიქები გაალიცლიცა და თითოეულში მხოლოდ თითო წინწკალი წყალი ჩააწვეთა.

– აქ შენთვის მადლობის სათქმელად მოვედი, – გაიმეორა მან. – მადლობა კი იმისთვის უნდა გითხრა, რომ მასწავლე: ცხოვრება რწმენის მოქმედებააო. და ჩემეული ძებნა-ძიების ღირსად რომ მცანი. ეს ამბავი ძალიან მშველოდა ჩემ მიერ არჩეულ გზაზე.

ორივემ ერთდროულად და სულმოუთქმელად შესვა. მოგვმა – იმიტომ რომ დაძაბული იყო. ბრიდამ – იმიტომ რომ თავს არხეინად, გულდამშვიდებულად გრძნობდა.

– მაშასადამე, ჩვენმა საღამომ სულ არიარალეს დაძახილში უნდა განვლოს?

მოგვმა, ამჟამინდელი სუფრის მასპინძელი შენა ხარო, უთხრა, და შენი გადასაწყვეტია, რაზე უნდა ვილაპარაკოთო.

ქართულად გადმოაქენა
**გურამ გოგიაშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

ჭადრაკი

# უკრაინელებმა დაგვამუხრუჭეს

**საქართველოს მოჭიდავეები ხანტი-მანსიისკში მსოფლიო ოლიმპიადაზე წარმატებით ასპარეზობას განაგრძობენ. მე-6 ტურში ქალთა ნაკრებმა 2,5:1,5 მოუგო აშშ-ს გუნდს.** ნანა ძაგნიძემ და სალომე მელიამ, შესაბამისად, ირინა კრუში და თათევ აბრაჰამიანი დაამარცხეს, ბელა ხოტენაშვილი საბინა-ფრანჩესკა ფოიშორს დაუზავდა, ლელა ჯავახიშვილი ანა ზოტონსკის დანებდა. ამ გამარჯვების შემდეგ ჩვენმა ქალებმა 10 ქულა მოაგროვეს. ტურნირზე 12 ქულით ჩინელთა მძლეველი (3:1ძ რუსები



დაწინაურდნენ. 11 ქულა ჰქონდათ უნგრელებს, რომლებმაც პოლონელები გაანადგურეს — 4:0. ათ-ათი ქულა აქვთ უკრაინელებს, ინდოელებსა და ჩინელებს.

სასიამოვნოდ გვაოცებენ ქართველი დიდოსტატი ვაჟები. მე-6 ტურში ისინი ოლიმპიადების ორგზის გამარჯვებულ სომხებს დაუზავდნენ — 2:2. ყაიმზე შეთანხმდნენ ბაადურ ჯობავა — ლევონ არონიანი, მერაბ გაგუნაშვილი — ვლადიმერ აკოფიანი, ლევან ფანცულაიამ გაბრიელ სარგისიანი დაამარცხა, თამაზ გელაშვილმა კი არმან პაშიკიანთან წააგო. 6 ტურის შემდეგ საქართველო, უკრაინა და სომხეთი 11-11 ქულით ლიდერობენ. მეწინავეებს თითო ქულით ჩამორჩებიან აზერბაიჯანი, რუსეთის პირველი და მეორე გუნდები, აშშ და პოლონეთი.

**ლაშა დიდია**

**P.S. გუშინ მე-7 ტურში საქართველოს ვაჟთა ნაკრები უკრაინელებთან 1,5:2,5 დამარცხდა.**

ძალოსნობა

# სალიცენზიოზე ვერ იყოჩაღეს



**ანტალიაში ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს შვიდმა ათლეტმა იასპარეზა. სამწუხაროდ, ისინი საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდნენ. 85 კილოში ორჭიდის ჯამში 341 კილოთი მე-17 იყო რაულ ცირეკიძე. 94 კილოში 21-ე და 35-ე ადგილებით დაკმაყოფილდნენ ვაჟა ლონლაძე (358 კგძ და თემურ ჩხეიძე (330 კგძ.**

სხვებზე უკეთ იასპარეზა გია მაჭავარიანმა (105ძ, რომელმაც 390 კილოთი მე-8 ადგილი დაიკავა. ამავე წონაში 21-ე ადგილზე გავიდა თეიმურაზ გოგია (360 კგძ. მძიმე წონაში ირაკლი თურმანიძეს (400 კგძ მე-12 ადგილი ერგო. 17 წლის დებიუტანტმა ლაშა ტალახაძემ 162-კილოიანი შტანგა აიტაცა, მაგრამ აკვრაში საწყისი წონა ვერ დაძლია და უადგილოდ დარჩა. არადა, ეს ჩემპიონატი 2012 წლის ოლიმპიადისთვის სალიცენზიო შეჯიბრება იყო.

**გივი გაგუა**

ჭიდაობა

# ოლიმპიური ჩემპიონის ხსოვნისა



**ქუთაისის სპორტის სასახლემ ქართულ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონის დავით ციმაკურიძის ტრადიციულ მემორიალს უმასპინძლა. შეჯიბრებაში სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები ჯერ ხუთ წონით კატეგორიაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას, შემდეგ კი აბსოლუტურშიც მოსინჯეს ძალები.**

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ. გაუწყებთ მათს ვინაობას.

**60 კგ.** 1. ვაჟა მარგველაშვილი (გიორიძ, 2. ომარ ლომიძე (ხაშურიძ, 3. თემურ ნაყიდაშვილი (ზესტაფონიძ.

**65 კგ.** 1. ზურაბ შარვაშიძე (ქუთაისიძ, 2. სოსო ჭოლაძე (ქუთაისიძ, 3. სოსო ქოქაშვილი (გორიძ.

**72 კგ.** 1. ანზორ ხმიადაშვილი (გორიძ, 2. ანრი ბიბილაშვილი (გორიძ, 3: ანდრო ბერუაშვილი (გორიძ.

**80 კგ.** 1. ნიკა არჩვაძე (ქუთაისიძ, 2. ზვიად ბაზანდარაშვილი (გორიძ, 3. გურამ წულუკიძე (ქუთაისიძ.

**90 კგ.** 1. ლაშა გურული (ქუთაისიძ, 2. დავით სებისკვერაძე (ქუთაისიძ, 3. პაატა ღვინიაშვილი (გორიძ.

**აბსოლუტური.** 1. პაატა ღვინიაშვილი (გორიძ, 2. ლაშა გურული ( ქუთაისიძ, 3. გოჩა ლომთაძე (ქუთაისიძ.

**ლექსო ცინცაძე**

ჩოგბურთი

# „ბათუმის ნავთობტერმინალს“ თბილისი მასპინძლობს



**ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დაიწყო ბათუმის ნავთობტერმინალის ტრადიციული ღია პირველობა, რომლის საპრიზო ფონდია 25 ათასი დოლარი.** შეჯიბრებაში საქართველოს უძლიერესი ჩოგბურთელი ქალებიც მონაწილეობენ. ჩვენებურთაგან მთავარი პრიზისთვის იბრძვიან ოქსანა კალაშნიკოვა, მაკა ჩახნაშვილი, სოფიო შაფათავა, მანანა შაფაქიძე, ანა ჯიქია, ეკა გორგოძე, ბარბარე ერისთავი და სოფიო ქვაცაბაია. ძირითად ბადეში ასპარეზობა 32-მა სპორტსმენმა დაიწყო.

მშვილდოსნობა

# ცეცხლის ხაზზე – ჩუბინეები

**ხუთი ქვეყნის 60-მდე მშვილდოსანმა იასპარეზა ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე. პირად პირველობაში საქართველოს ნაკრების ლიდერმა ხათუნა ნარიმანიძემ ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის ფინალში თურქ იუვიტე ზეხლარს სძლია და მთავარი პრიზი მოიპოვა.** მესამე ადგილზე სტამბოლელი სელენ ოზკაია გავიდა, რომელმაც ნატო ნასარიძეს მოუგო. საგულისხმოა, რომ ნასარიძე ორწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა აქტიურ სპორტს. ვაჟებში ბათუმელმა ტარიელ ქადიძემ იყოჩაღა. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მან სომეხ არშაკ პეტროსიანს აჯობა. ბრინჯაოც სომეხ ვასილ შახნაზარიანს ხვდა.



გუნდურ შეჯიბრებაში აჭარის ქალთა ნაკრებმა (ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე, ნათია ცინცაძეძ ფინალში თბილისელები (ქრისტინე ესებუა, რუსუდან შავერდაშვილი, ანანო წიბლიაშვილიძ დამარცხდა. მესამე ადგილი თურქებს ერგოთ. ვაჟებშიც ბათუმელებმა (დიმიტრი კირიჩენკო, გიგა კაკაბაძე, გიორგი შანიძეძ იმარჯვეს — აზერბაიჯანის ნაკრებს სძლიეს, სომხები ბრინჯაოს დაყაბულდნენ.

ინტერნეტიდან

## ახალ ამპლუაში



**რაფაელ ნადალსა და როჯერ ფედერერს მხატვრობის ნიჭი აღმოაჩნდათ.**

**ფუნჯის ფლობის ტალანტით დაჯილდოებულმა თანამედროვეობის უძლიერესმა ჩოგბურთელებმა ექსპერიმენტულ ჟანრში სცადეს ბედი და ავტოპორტრეტების სერია შემოგვთავაზეს. მათ ქმნილებებზე თამაშის მომენტებია ასახული.**

21-28 ნოემბერს ლონდონი სეზონის დასკვნით ტურნირს უმასპინძლებს და სწორედ მის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე მოეწყობა სპორტსმენ-ხელოვანთა სადებიუტო გამოფენა.

„ახალ ამპლუაში დიდი სიამოვნება ვიგრძენი. ვიმედოვნებ, კორტზეც არანაკლები განცდა მელის“ — ამბობს მალიორკის მკვიდრი.

„მოუთმენლობა მიპყრობს, ვიდრე გალერეაში ვერნისაჟზე მიგიპატიჟებთ“ — ეს უკვე ბაზელელის სიტყვებია.

## გინესის წიგნში მატებაა



**31 წლის ბრიტანელი ექსტრემალი ჯეიმს ფილდი ახალი მსოფლიო რეკორდით გინესის წიგნში შევიდა.**

მწვავე განცდების მოყვარულმა ერთი საათის განმავლობაში 42 ნახტომი განახორციელა ინგლისის დედაქალაქის ტაუერის ხიდის სიახლოვეს მოწყობილი სპეციალური 50-მეტრიანი პლატფორმიდან — ეგრეთ წოდებული „ტარზანკიდან“ და უწინდელი მიღწევა თითქმის ორჯერ გააუმჯობესა. ამ დროს მას ფეხებზე ათმეტრიანი ელასტიკური თოკი ჰქონდა მიბმული.

„ოცნების ახდენა მოსალოდნელზე გაცილებით რთული აღმოჩნდა. როცა ფეხები ზეცისკენაა აშვერილი, თავში სისხლის განსაკუთრებულ მოზღვავებას გრძნობ, რაც ძნელი მისაჩვევია. თანაც, ყოველი ცდის შემდეგ სუნთქვა უნდა აღმედგინა, რაც, რაღა დაგიმალოთ და, გამიჭირდა“, — გამოტყდა ბედნიერი ახალგაზრდა.

## ზლატკებს რა გამოლევს



**როგორც „ტოპსპორტი“ იუწყება, ერთმანეთს დასცილდნენ ბულგარული „პლეიბოის“ კაშკაშა ვარსკვლავი ზლატკა დიმიტროვა და მისივე თანამემამულე სამბისტი ბლაგოი ივანოვი.**

ეს უკანასკნელი კარგა ხანს ვარჯიშობდა საბრძოლო სამბოში და 2008 წელს სპორტის აღნიშნულ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, თუმცა ამის შემდეგ წესების გარეშე ბრძოლაში გადაინაცვლა.

ეტყობა, ახალმა გატაცებამ ივანოვის პიროვნულ თვისებებზე უარყოფითად იმოქმედა. „იგი ბოლო დროს ბავშვივით ჟინიანობდა და აუტანელი გახდა. ახლა ვხვდები, რატომ დასცილდა ბლაგოის ძველი სატრფო ზლატკა რაიაკოვა“ — ასკვნის დიმიტროვა.

კინო

# ოთარ იოსელიანს ქართული კინოს აღორძინების სჯერა



**ცნობილი ქართველი კინორეჟისორი ოთარ იოსელიანი ლონდონში იმყოფება, სადაც ის ქართული კინოს ფესტივალს ესწრება. ქართული კინოს დღევანდელობასა და წარსულზე მას პროგრამის „პიატი ეტაჟ“ მიმომხილველი ალექსანდრ კანი ესაუბრა.**

**— თქვენ ლონდონში თქვენი ბოლო ფილმი „შანტრაპა“ ჩამოიტანეთ. მოკლე ანოტაციის მიხედვით, ფილმი ახალგაზრდა ქართველ რეჟისორზეა, რომელიც სამშობლოს ტოვებს და სამუშაოდ საფრანგეთში მიემგზავრება, ანუ ფილმი თქვენს ბედზეა?**

— ეს ფილმი ჩვენს საერთო ბედზეა. იმაზე, თუ რა „მშვენიერი“ იყო საბჭოთა კინოში ცენზურის არსებობა. ჩვენ გადავიღეთ სურათი იმაზე, თუ როგორ მიემგზავრება ხალხი რაღაც ქვეყნებიდან, სადაც ცხოვრება მძიმე გახდა, იმ იმედით, რომ სხვაგან კარგად იქნებიან. ერთ-ერთი ასეთი უცნაური ადამიანი, რომელიც თავის დროზე საბჭოთა კავშირიდან წავიდა, სერგეი დოვლატოვი იყო. ის ძალზე მხიარულ ებრაულ საზოგადოებაში მოხვდა, სადაც ბოლოს ყველა ერთმანეთს წაეჩხუბა. ის ამაზე ძალზე ხალისობდა, ამავე დროს, განიცდიდა და სულ წერდა, რომ ის ცხოვრობდა იმ ქვეყანაში, სადაც ის ცუდად იყო, თუმცა, ეს ცხოვრებაა. ჩვენ ყველანი ცენზურის პირობებში გავიზარდეთ. თუმცა, ამას, როგორც ჩვეულებრივ ამბავს, ისე აღვიქვამდით. და მათ შორის, რომლებსაც ჩვენი მეთვალყურეობა ევალებოდათ, ბრწყინვალე ადამიანებიც გვხვდებოდნენ.

**— თუმცა, თქვენი პროფესიული ბედი, თუ არ ვცდები, წარმატებულად აეწყო. თქვენ ფრანგი რეჟისორი გახდით, რომლის სურათებსაც მთელ მსოფლიოში წარმატება აქვს. საფრანგეთში თავს როგორ გრძნობთ?**

— უპირველეს ყოვლისა, მე უფრო ცოტა მეგობარი მყავს, რომლებიც ჩემთან ერთ ენაზე საუბრობენ. საერთო ენა — ეს ერთ ისტორიულ ეპოქაში ერთად გატარებული ცხოვრებაა, საერთო კოორდინატებითა და ათვლის წერტილებით. თავისუფლად შემიძლია დავუმეგობრდე რომელიმე ფრანგს, თუმცა, ჩვენ ერთობლივი მოგონებები არ გვაქვს და როდესაც რაიმეს ვუყვები, მეუბნებიან, რომ მსგავსი რამ შეუძლებელია. ასევე, როდესაც ისინი თავიანთ ცხოვრებაზე მიყვებიან — ხშირად ვფიქრობ — რა ფუჭია და ღარიბია ეს ყველაფერი, ჩვენი თვალთახედვით, რომლებმაც შეუცნობელ ქვეყანაში სიხარულისა და წუხილის მთელი თასი გამოვცალეთ.

**— თქვენ ლონდონში ქართული კინოს ფესტივალის ფარგლებში იმყოფებით. სამშობლოსთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— როდესაც ქვეყანაში 50 წლის განმავლობაში ცხოვრობ, აზროვნების წესს ვეღარ შეიცვლი. ამიტომ მე საფრანგეთშიც კი, ქართული კინოს კეთებას ვაგრძელებ. მადლობა ღმერთს, რომ კულტურის საერთო ენა, რომელიც საფრანგეთში და ევროპაში არსებობს, აბსოლუტურად იდენტურია იმ ენისა, რომელზეც ჩვენ ვმეტყველებთ. შესაძლოა, სწორედ ეს არის იუდეო-ქრისტიანული კულტურის ენა, რომელშიც კეთილისა და ბოროტის გაგებები, დაახლოებით, ერთმანეთს ემთხვევა. გია დანელიამ თავისი ცნობილი სურათი „არ დაიდარდო“ ფრანგული რომანის მოტივებზე ტყუილად არ გადაიღო. თუმცა, უნდა გითხრათ, პუბლიკა აქაც ისეა ინფიცირებული ჰოლივუდურ-საბჭოთა გემოვნებით — მათ ერთმანეთს შემთხვევით არ ვაკავშირებ — ისე დაეჩვივნენ უმსგავსოებას, რომ თავიანთი ახლო წარსულის ბრწყინვალე კინოს მიმართ გულგრილები გახდნენ. დღეს საფრანგეთში კულტურა არავის აინტერესებს, ახალგაზრდობა წიგნებს აღარ კითხულობს.

**— ქართული კინოს აღორძინების პროცესი მიმდინარეობს?**

— იცით, როდესაც მუშაობდნენ გიორგი და ელდარ შენგელაიები, თენგიზ აბულაძე, მიშიკო კობახიძე — მაშინ ქართულ კინოს საბჭოთა კინემატოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მათი ცოტათი ეშინოდათ. ამავე დროს, ეს მნიშვნელოვანწილად ირონიული კინო იყო. როდესაც ხელისუფლებამ აღმოაჩინა, რომ ეს ყველაფერი სერიოზულია, უკვე გვიან იყო. შემდეგ ფინანსური ეკრანი დაიხურა და მთელი საბჭოთა კინემატოგრაფია, რა საზიზღარიც არ უნდა ყოფილიყო ის, მან დაბადა ფარაჯანოვი, გლებ პანფილოვი, ტარკოვსკი, სოკუროვი, — გაიგუდა. ქართული კინემატოგრაფიაც გაქრა. თუმცა, აი, ჩავდივარ თბილისში და ვხედავ შესანიშნავ ფილმს — ლევან კოღუაშვილის „ქუჩის დღეები“. ეს მძიმე ფილმია და ქართული საზოგადოების ავადმყოფობას ეხება, ის ნარკომანებზეა. ტყუილად კი არ იყიდეს ის მაშინვე რუსეთში. და, მიუხედავად კორუფციისა, რომელიც საქართველოშიცაა და რუსეთშიც, გაჩნდა გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა. არსებობენ ადამიანები, რომლებიც შეპყრობილნი არიან უცნაური იდეებით, რომ რაღაცა უნდა გააკეთონ, რაღაც უნდა გადაარჩინონ. **უმსგავსობაა, რომ საქართველოში მცხოვრები 79 რეჟისორი უმოქმედოდაა.**

წიგნი

# მარჯვე ხელით გაშლილი კონა

**სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ჩვენმა ცნობილმა სწავლულმა, რომელთა მკვლევრულ კალამს ათეულობით შრომა შეუქმნია, წერის უნარი „თავისი“ მეცნიერული სფეროს გარეთაც გამოამჟღავნა ბელეტრისტული ნაწარმოებებით.**

იმათ რიცხვს მიეკუთვნება გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი **თენგიზ ონიანი,** რომლის საგულისყურო წიგნზე **„ვარსკვლავთმორბედი“** ვაპირებთ ახლა საუბარს. „დიდი წინაპრის სიბრძნის შუქით აღძრული ფიქრებიო“, გვაუწყებს თავფურცლის ქვესათაური. ეს წინაპარი გახლავთ სულხან-საბა ორბელიანი, ვინც თავის დროზე შთამაგონებლად განგვიცხადა შთამომავლობას: „ერთად შევკრიბე, გავაწყვე, ჩემი ვიშრომე სულ ხანი საბამან ორბელიანმან, ვის ერად მერქვა სულხანი“.

სწორედ ამ საბასეულმა „შენაკრებმა, გაწყობილმა და ნაშრომმა“ აღუძრა ხანგრძლივი და ღრმა ფიქრები აკადემიკოს თენგიზ ონიანს და ეს ნაფიქრალი გამოუტანია მკითხველის სამსჯავროზე; როგორც მცირე ანოტაციიდან ვგებულობთ, „ვარსკვლავთმორბედი“ ყოფილა ოთხწიგნეულის (ხომ მარჯვე მიგნებაა „ოთხწიგნეული“!) პირველი წიგნის ერთ-ერთი ნაწილი; ოთხწიგნეულის საერთო სათაურია „მთიდან ბარამდე შორი გზაა“ და მისი გამოცემა ახლო მომავალშია განზრახული.

სულხან-საბას ლიტერატურულ შემოქმედებას ავტორი, მეტ-ნაკლებად, ჯერ კიდევ ყმაწვილობისას გასცნობია საქართველოს წარმტაცი კუთხის, სვანეთის მთებში, რომლის მკვიდრმა იქ ბავშვობის წლები გაატარა და საშუალო სკოლა დაამთავრა. ამის საშუალება, სკოლის პროგრამასთან ერთად, მდიდარმა საოჯახო ბიბლიოთეკამაც მისცა.

„ჩემს ძნელ ყმაწვილკაცურ ცხოვრებაში ერთბაშად შემოიჭრა საქართველოს უკიდურესად ძნელბედობის დროს მოღვაწე ორი დიდი პიროვნების შემოქმედებითი ნაკადები — სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილისა. პირველისა — ფილოსოფიური „სიბრძნე სიცრუისა“ და გენიალური „სიტყვის კონით“, ხოლო მეორისა — ქვეყნისა და პირადი ტრაგიკული ცხოვრების აღმწერი პოეზიის შედევრით — „დავითიანით“...




თენგიზ ონიანი მოგვითხრობს, თუ სტუდენტობისას როგორ გაჩნდა მის მაგიდაზე წყება იმ რვეულებისა, რომლებიც „სიტყვის კონიდან“ ამოწერილი, მისთვის განსაკუთრებით საგულისყურო სიტყვებითა და სათანადო განმარტებებით ივსებოდნენ, რაც, რასაკვირველია, მშობლიური ქართულის უკეთ დაუფლების სურვილით იყო განპირობებული.

მოგვიანებით, როცა ბატონი თენგიზი ახალგაზრდა, ნიჭიერ მკვლევრად ჩამოყალიბდა და კვლევითი ინტერესები ძირითადად ადამიანის თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების მექანიზმებს დაუკავშირა (გახდა კიდევაც ამ მიმართულებით სახელგანსმენილი სპეციალისტიძ, მიხვდა, რომ „სიტყვის კონამ“ გამორჩეულად მიიზიდა ადამიანის სულიერი ბუნების გამომხატველი სიტყვების განსაზღვრებებით. სწორედ ადამიანის თავის ტვინის მკვლევარის პოზიციიდან გაიაზრა მან, თუ როგორი საგანძური დევს დიდებულ „სიტყვის კონაში“, რომლის მოჩხრეკა ძალიან დაეხმარებოდა არაერთი საკითხის უკეთ გაგებაში.

საბასეული სიბრძნის სიღრმეებში ჩაწვდომა, რა თქმა უნდა, იოლი არაა, მაგრამ „სიტყვის კონის“ ბევრ სიტყვაზე იმდენი უფიქრია თენგიზ ონიანს, რომ სრულიად საფუძვლიანად მისცა თავს უფლება იმათ შესახებ აზრის გამოთქმისა და საკუთარი ცხოვრებისეულ თუ მდიდრულ მეცნიერულ ბიოგრაფიასთან იმათი დაკავშირებისა. ასე გადაიშლება წიგნი და იხსნება შურით — „მწუხარებით სხვისა კეთილსა ზედა“ (მკითხველს არ დასჭირდება შეხსენება, თუ რა როლს ასრულებს ეს ფენომენი — შური ადამიანთა ურთიერთობებსა თუ ურთიერთდამოკიდებულებებშიძ.

„შურს“ მოჰყვება მთელი რიგი სხვა ფენომენთა — ძილი, სიზმარი, სული, შიში, სიცილი და ყვირილი, ფიქრი და ალღო და სხვადასხვა, საოცარი მიმზიდველობით გაშუქებულ ფენომენთა.

...ხანდაზმულ ავტორს, ჩემსავით წლებით დამძიმებულს, კიდევ დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა უნდა ვუსურვო ლამაზად ჩაფიქრებული ოთხწიგნეულის ხორცშესასხმელად. „ვარსკვლავთმორბედი“ ისეთი კარგი დასაწყისია, რომ ბატონი თენგიზი ვალდებულია, კარგადვე გააგრძელოს...

**თამაზ ებანოიძე**

ედუარდ შევარდნაძე, მანანა და პაატა შევარდნაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თეიმურაზ ცხაკაია
და დიდი გულისტკივილით სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ გულიკო ჩაფიძეს, ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

ედუარდ შევარდნაძე. თბილისი, 28.09.2010 წ.

---

ნიკა, ლეილა, ნანა, ირაკლი, რუსუდან ცხაკაიები გულისტკივილით იზიარებენ უახლოესი მეგობრის და ნათესავის ქალბატონ გულნარა ჩაფიძის ღრმა მწუხარებას შვილის
თემურ ცხაკაიას
გარდაცვალების გამო.

---

ლევან, გულიკო, ნათელა მგალობლიშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ გულიკო ჩაფიძეს შვილის
თემურ ზურაბის ძე ცხაკაიას
გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად უსამძიმრებს ქალბატონ გულიკო ჩაფიძეს შვილის
თემურ ცხაკაიას
გარდაცვალების გამო.

---

ფოთოლა და თენგიზ კალანდაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ ავთო თევზაძის ოჯახს დედის
ნათელა ზამთარაძე-თევზაძის
გარდაცვალების გამო.

---

მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს მარინა და ავთო თევზაძეებს დედისა და დედამთილის
ნათელა ზამთარაძე-თევზაძის
გარდაცვალების გამო.

---



საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკად. კ.ვ. ჩაჩავას სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უხუცესი ქართველი მეან-გინეკოლოგი, ექიმ მეან-გინეკოლოგთა მრავალი თაობის აღმზრდელი, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ამაგდარი და მრავალჭირნახული, ზნეობრივად სპეტაკი, ღრმა პროფესიული ცოდნით და საქმისადმი თავდადებით გამორჩეული ქალბატონი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი, სენაკის სამშობიარო სახლის ყოფილი მთავარი ექიმი, ღირსების ორდენის კავალერი
დოდო უჩანეიშვილი
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სოფლის მეურნეობის დარგის საზღვრისპირა დედოფლისწყაროს რაიონის პროფკავშირული ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება და სამძიმარს უცხადებს ამავე დარგის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს გელა ძაბილაშვილს
დედის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 30 IX, 14 სთ. საგარეჯო, მეგობრობის ქ. №25.

**განცხადება**

შპს „სამთომაშველი“ აცხადებს აუქციონს ქ. თბილისში, თრიალეთის ქ. №54-ში მდებარე შენობის 550 კვ.მეტრი თავისუფალი ფართის (შეიძლება ნაწილისძ გაცემის მიზნით. 1 კვ. მეტრის საიჯარო საწყისი ფასი დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 5.00 ლარს თვეში. აუქციონი გაიმართება 2010 წლის 15 ოქტომბერს 15 სთ-ზე. დოკუმენტების მიღება წარმოებს 15 ოქტომბრის 13 საათამდე. საკონტაქტო ტელეფონები: 822-27-83-79, 899-10-37-98.

ადმინისტრაცია

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

◉ გამოფენა-170

# აკაკი ქართულ თეატრში



**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა „აკაკი ქართულ თეატრში“.**

წარმოდგენილი იყო საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმში დაცული უნიკალური მასალები, მათ შორის აკაკი წერეთლის ხელნაწერები,



ფოტოები მემორიალური ავტოგრაფებით... მასალა ფართო საზოგადოებისათვის უცნობია, რადგან ისინი არასოდეს გამოფენილა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აკაკი წერეთლის დიდი ზომის ფოტო, რომელზეც ავტორის ხელით მაკო საფაროვასადმი მიძღვნილი შარჟია მიწერილი. მნიშვნელოვანია 1912 წელს რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს გადაღებული ფოტოს ორიგინალი, სადაც აკაკი მოცეკვავეთა შორის დგას.

ექსპოზიციაზე გაეცნობით ქართველი მხატვრების ი. შტენბერგის, კ. კვალიაშვილის, მ. გოცირიძის, დ. მირიანაშვილის ესკიზებს სპექტაკლებისათვის „ბაში-აჩუკი“ და „პატარა კახი“. ფერად ნახატებში გადმოცემულია მსახიობთა კოსტუმებისა და დეკორაციების ესკიზები, ისინი აკაკის ნაწარმოებთა ეპოქას ასახავს.

პირველად გამოიფინა უნიკალური კოსტიუმები კინოფილმიდან „ბაში-აჩუკი“. აღსანიშნავია, რომ „თავად ჩოლოყაშვილის“, „აბდულ შაჰილის“, „სელიმ ხანის“ კოსტუმების შესრულების დროს გამოყენებულია ოქროს მელანი, ძვირფასი ლითონები და აღმოსავლური ქსოვილით შესრულებული აპლიკაციები. „ერისთავის ქალის“ კაბა კი XVII საუკუნის სადედოფლო კოსტიუმის ზუსტ ასლს წარმოადგენს და იგი ქართული ფრესკების მიხედვით შეიკერა.

გამოფენაზე დამთვალიერებელმა, ასევე, პირველად იხილა აკაკის ვაჟის მუსიკალური მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

ოქტომბერში დაგეგმილია აკაკი წერეთლის საიუბილეო – 170 წლისთავთან დაკავშირებული მრავალი ღონისძიება





ქუთაისსა და ბათუმში.

სიტყვით გამოვიდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკა რურუა, ასევე თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდია, რომელმაც ხაზი გაუსვა ელდარ შენგელაიას დიდ წვლილს. „ის ჩვენ ყოველთვის გვერდში გვიდგას და გვაწვდის უნიკალურ მასალებს, ახლაც მოგვაწოდა ნატო ვაჩნაძის კიდევ ერთი ახალი სურათი“. ელდარ შენგელაიამ კი ერთ-ერთი წიგნიდან წაიკითხა ნატო ვაჩნაძის ცხოვრების ეპიზოდი.

**ნატა ნიბლაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**


## ქირავდება ან იყიდება

ბინა გამსახურდიას გამზირის №35-ში მესამე სართულზე გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. 97,43 კვმ ფართის ოთხი ოთახი (ულოჯოდ) დიდი აივნით, (ახალგარემონტებული), კაპიტალური ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 31-18-50 – 10-დან 16 საათამდე 39-86-08; 18 დან 22 საათამდე.

## იყიდება სასწრაფოდ!

**ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ**

**საუკეთესო ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე, გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616.**

---

**აგარაკი ტაბახმელაში**

**თანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 537 616 ან 899 16 93 57.**


◉ დღის კალენდარი — 29 სექტემბერი

**ხსენება მოწამეთა ძმათა ისააკ და იოსებ ქართველთა, კარნუქალაქს წამებულთა (808ძ; დიდმოწამისა ევფესია ყოვლადქებულისა (304ძ; მოწამისა სევასტიანასი (Iძ; მოწამისა მელიტინასი (IIძ; მოწამეთა ვიქტორისა და სოსთენისა (დაახლ. 304ძ; ღირსისა დოროთესი, მეგვიპტელი მეუდაბნოისა (IVძ; მოწამისა ლუდმილასი, ჩეხთა დედოფლისა (927ძ.**



**ამოდის 05.55**
**ჩადის 17.47**



**ამოდის 21.05**
**ჩადის 11.55**

**წმიდა მოწამეები ისააკ და იოსებ, ღვიძლი ქართველი ძმები, კარნუს ქალაქში სარკინოზთაგან წამებულები. დედამ, კეთილმა და ღვთისმოშიშმა ქრისტიანმა ქალმა, ქრისტიანული რწმენით აღზარდა ვაჟიშვილები. როცა წამოიზარდნენ, მათ წერილით მიმართეს ბიზანტიის იმპერატორს ნიკიფორე პირველს, რომელსაც ნებას თხოვდნენ კონსტანტინოპოლში ჩასვლისა და მის სამსახურში შედგომისათვის. როდესაც დადებითი პასუხი მიიღეს, გამგზავრებისას ქალაქის ამირას ბრძანებით დააკავეს და ძმებს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. დასჯის ადგილას წმიდა მოწამეებმა მუხლი მოიყარეს და მხურვალე ლოცვა აღუვლინეს უფალს, რის შემდეგაც მათ თავები მოჰკვეთეს. მოგვიანებით მათ საფლავზე ტაძარიც აღაშენეს, რომელიც ყოვლადწმიდა სამების სახელად იქნა განათლებული.**

## დაიბადნენ:

**1518 – იაკობო ტინტორენტო,** იტალიელი მხატვარი. გარდაიცვალა 1594 წელს.
**1547 – მიგელ სერვანტესი,** ესპანელი მწერალი. გარდაიცვალა 1616 წელს.
**1758 – ჰორაციო ნელსონი,** ინგლისური ფლოტის ადმირალი. გარდაიცვალა 1805 წელს.
**1821 – სულხან ბარათაშვილი,** ქართველი ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1866 წელს.
**1864 – მიგელ უნამუნო,** იტალიელი მწერალი და ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1936 წელს.
**1880 – ნიკო ლორთქიფანიძე,** მწერალი. გარდაიცვალა 1944 წელს.
**1901 – ენრიკო ფერმი,** იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1954 წელს.
**1904 – ნიკოლოზ ოსტროვსკი,** რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1936 წელს.
**1931 – ანიტა ეკბერგი,** შვედი კინომსახიობი.
**1931 – ჯეიმს ვოტსონ კრონინგი,** ამერიკელი ფიზიკოსი.

## გარდაიცვალნენ:

**1560 – გუსტავ I,** შვედეთის მეფე.
**1927 – აინტოვენ მილიამი,** ჰოლანდიელი ფიზიოლოგი – ელექტროკარდიოგრაფიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

## მოვლენები:

**1783 წელი** – ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო.
**1908 წელი** – საერთაშორისო კონფერენციამ აკრძალა ბავშვებისათვის ღამით მუშაობა.
**1916 წელი** – ჯონ როკფელერი მსოფლიოში პირველი მილიარდერი გახდა.
**1982 წელი** – დასრულდა მსოფლიოს გარშემო შვეულმფრენით შემოფრენა.
**1988 წელი** – ნობელის პრემია მიენიჭა გაეროს სამშვიდობო ძალებს.

**ღირსსახსოვარი დღე:**
**ყრუ-მუნჯთა საერთაშორისო დღე.**

**მედიანიუსი**

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +16 – +22 |
| ქუთაისი. | +18 – +25 |
| ბათუმი. | +16 – +21 |
| ზუგდიდი. | +16 – +28 |
| თელავი. | +14 – +24 |

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

**– ალო, მიხო, ჩვენს სახლში საშინელი სუნი დგას, ბენზინისა თუ გაზისა, არ ვიცი... მეშინია, არ ავფეთქდე!**

**– ქალო, რამ შეგაშინა, ჩემს მოსვლამდე სანთელი აანთე და ილოცე!..**



* * *

**საბჭოური პრეზერვატივები იმითაც იყო კარგი, რომ მათი მეშვეობით ველოსიპედის კამერის დაწებებაც შეიძლებოდა.**

* * *

**როცა ყველა ყველაფრით კმაყოფილია, ადვილი შესაძლებელია, რომ ეს იყოს არა სამოთხე, არამედ გაქანებული ქეიფის ზენიტი.**

* * *

**გადაცემა „რა, სად, როდის?“ წამყვანი შემთხვევით დაკრძალვაზე მოხვდა და გამოიცნო, რა იდო შავ ყუთში.**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150.
ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.